პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 44-ე წელი | № 105 (12921) | ხუთშაბათი, 7 მაისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

## ნ. ს. ხრუშჩოვი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში გაემგზავრა

ოდესა, 6 მაისი. (საკდესი). [illegible]

# მშვიდობის, თავისუფლებისა და სოციალიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის!

## საბჭოთა კავშირ-ალჟირის მეგობრობის მიტინგი

**ალჟირის** სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის, პარტია ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გენერალური მდივნის აჰმედ ბენ ბელას მეგობრული ვიზიტით სსრ კავშირში დაიწყო საბჭოთა კავშირ-ალჟირის ურთიერთობის ისტორიის ახალი ფურცელი. საბჭოთა ადამიანები ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ გმირი ალჟირელი ხალხის წარმომადგენლებს, რომელიც სოციალისტურ საწყისებზე აშენებს ახალ ცხოვრებას. მხურვალედ და გულითადად მიესალმებოდნენ საბჭოთა ადამიანები ალჟირელი ხალხის სახელოვან შვილს ამხანაგ ბენ ბელას, რომელსაც მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება.

ამხანაგ ბენ ბელასადმი თავიანთი პატივისცემა და კეთილი გრძნობები მოსკოველებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს 6 მაისს საბჭოთა კავშირ-ალჟირის მეგობრობის მიტინგზე, რომელიც გაიმართა კრემლის ყრილობათა სასახლეში.

სავსე იყო სასახლის უზარმაზარი დარბაზი, რომელიც ექვსი ათასზე მეტ კაცს იტევს. აქ არიან სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, დაწესებულებების წარმომადგენლები, კულტურის მოღვაწეები, სტუდენტები, საბჭოთა არმიის მეომრები. მიტინგს დაესწრნენ დიპლომატიური კორპუსის წევრები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

როგორც ურღვევი ძმური მეგობრობის სიმბოლო სცენას ამშვენებს ალჟირისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმები.

დამსწრენი მხურვალე ოვაციით შეხვდნენ ამხანაგებს **აჰმედ ბენ ბელას, ლ. ი. ბრეჟნევს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, ა. ი. მიქოიანს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ნ. მ. შვერნიკს, ვ. ვ. გრიშინს, ლ. ნ. ეფრემოვს, ი. ვ. ანდროპოვს, პ. ნ. დემიჩევს, ლ. თ. ილიჩოვს, ვ. ი. პოლიაკოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ა. პ. რუდაკოვს, ვ. ნ. ტიტოვს, ა. ნ. შელეპინს**, როცა ისინი პრეზიდიუმში შემოვიდნენ. აქვე არიან პრეზიდენტის თანამებრძოლები — პარტია ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები საგარეო საქმეთა მინისტრი **აბდელ აზიზ ბუტეფლიკა**, ეროვნული ეკონომიკის მინისტრი **ბაშირ ბუმაზა**, სოციალურ საქმეთა მინისტრი **მოჰამედ სეგირ ნეკაში**, ალჟირის არმიის გენერალური შტაბის უფროსი პოლკოვნიკი **ტაჰარ ზბირი** და ეროვნული კრების დეპუტატი ქალაქ ალჟირისაგან **ჰუსინ ზეჰუანი**, პარტია ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სახელმწიფო მინისტრი **ამარ უზგანი**, აგრეთვე ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში **მოჰამედ ბენიაჰია**.

მიტინგი გახსნა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ვ. თ. პრომისლოვმა**.

ექვს მილიონზე მეტი მოსკოველისა და ყველა დამსწრის სახელით იგი მხურვალედ და გულითადად მიესალმა გმირი ალჟირელი ხალხის მებრძოლ ხელმძღვანელს პარტია ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გენერალურ მდივანს, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს აჰმედ ბენ ბელასა და მის თანამებრძოლებს.

ხანგრძლივი ტაშის გრიალში ამხ. პრომისლოვმა გამარჯვება უსურვა გმირ ალჟირელ ხალხს, საბჭოთა კავშირისა და ალჟირის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას, მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

დარბაზში დიდებულად ჟღერს ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ალჟირელ სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ კომუნისტური შრომის დამკვრელი, სერგო ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ზეინკალი **ს. ნ. ეფიმუშკინი**, ინსტიტუტ „ჰიდროპროექტის“ არქიტექტორი **ვ. ვ. მუსატოვი** და დედაქალაქის კრასნაია პრესნიას რაიონის № 95 საშუალო სკოლის მასწავლებელი **გ. ს. კრასნოვა**.

დარბაზში იგრიალა ხანგრძლივმა ტაშმა, როცა ტრიბუნაზე ავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი**.

## ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

**პატივცემულო ამხანაგო პრეზიდენტო!**
**ძვირფასო ალჟირელო სტუმრებო!**
**ძვირფასო ამხანაგო მოსკოველებო!**

**დღეს** ჩვენ დიდი, ღირსშესანიშნავი დღე გვაქვს. ჩვენი დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები ხვდებიან ალჟირელ მეგობრებს, კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლებს, ახალი ალჟირის მშენებლებს. განსაკუთრებით მოხარული ვართ, რომ აქ არის ჩვენი მეგობარი, აფრიკისა და არაბული სამყაროს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ალჟირელი ხალხის უკეთესი მომავლისათვის მტკიცე მებრძოლი, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი და პარტია ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გენერალური მდივანი ამხანაგი აჰმედ ბენ ბელა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით, ჩვენი მიტინგის მონაწილეებისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალედ მოგესალმებით თქვენ, ძვირფასო ამხანაგო პრეზიდენტო!

ჩვენ გულითადად მივესალმებით აგრეთვე აქ მყოფ ალჟირის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეებს, პარტია ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს — საგარეო საქმეთა მინისტრს აბდელ აზიზ ბუტეფლიკას, ეროვნული ეკონომიკის მინისტრს ბაშირ ბუმაზას, სოციალურ საქმეთა მინისტრს მოჰამედ სეგირ ნეკაშს, ალჟირის არმიის გენერალური შტაბის უფროსს პოლკოვნიკ ტაჰარ ზბირის, ეროვნული კრების დეპუტატს ქალაქ ალჟირისაგან ჰუსინ ზეჰუანის, აგრეთვე სახელმწიფო მინისტრს ამარ უზგანსა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩს სსრ კავშირში მოჰამედ ბენიაჰიას.

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ ნამდვილად, გულწრფელად გვახარებს, რომ თქვენ, ამხანაგო ბენ ბელა, და თქვენი მეგობრები და თანამებრძოლები ჩამოდით ჩვენში, შეხვდით სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელ მოღვაწეებსა და საბჭოთა მთავრობის წევრებს, რამდენადმე გაეცანით საბჭოთა ადამიანების ცხოვრებასა და შრომას.

ალბათ, არ შევცდები, პატივცემულო სტუმრებო, თუ ვიტყვი, რომ ყველგან, სადაც კი იყავით თქვენი ვიზიტის დროს საბჭოთა კავშირში, — იყო ეს ისტორიული წითელი მოედანი საპირველმაისო დემონსტრაციის დროს თუ მოსკოვის უნივერსიტეტის აუდიტორიები, ლენინგრადის ქარხნის საამქროები, უზბეკეთი თუ ყირიმი — ყველგან გესმოდათ საბჭოთა ადამიანების ისეთივე მხურვალე და გულწრფელი მისალმებანი, როგორიც გესმით და ხედავთ დღეს ამ დარბაზში, მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლებთან შეხვედრაზე.

ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი როდია. საბჭოთა ადამიანები, ჩვენი ვრცელი ქვეყნის რომელ მხარეშიც უნდა ცხოვრობდნენ, ერთსულოვნად გამოხატავენ ახალგაზრდა გმირ ალჟირთან მეგობრობის, ძმობისა და სოლიდარობის გრძნობებს.

მიესალმებიან რა ალჟირიდან ჩამოსულ საპატიო სტუმრებს, საბჭოთა ადამიანები გამოხატავენ აღტაცებას იმ ხალხის უმაგალითო გმირობის გამო, რომელიც შვიდ წელზე მეტ ხანს უმძიმეს პირობებში თავდადებულ ომს აწარმოებდა კოლონიზატორების წინააღმდეგ და თავისი ათასობით შვილის სისხლის ფასად მოიპოვა ძვირფასი თავისუფლება. ისინი მიესალმებიან ხალხს, რომლის რევოლუციური დროშა ამაყად აფრიალდა აფრიკაში როგორც მოწოდების სიგნალი იმათთვის, ვისაც ჯერ კიდევ ვერ მოუპოვებია თავისუფლება და უნდა იბრძოლოს მისთვის. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ მიესალმებიან ახალგაზრდა ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას როგორც სახელმწიფოს, რომელიც აფრიკის კონტინენტის პროგრესული ძალების პირველ რიგებშია, გაბედულად აირჩია სოციალისტური განვითარების გზა და მედგრად იბრძვის ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის.

აი რატომ არის, რომ ყველანი თქვენ, ჩვენო ძვირფასო ალჟირელო მეგობრებო, და უწინარეს ყოვლისა თქვენ, ამხანაგო ბენ ბელა, კოლონიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ალჟირელი ხალხის ბრძოლის სულისჩამდგმელო და ორგანიზატორო, მუდამ სასურველი სტუმრები იქნებით ყოველ საბჭოთა ოჯახში, და თვითეული საბჭოთა ადამიანი აქ შეკრებილ მოსკოველებთან ერთად სულით და გულით გეუბნებათ: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძმებო, მოხარული ვართ, რომ ჩვენთან ხართ!

ძვირფასო ამხანაგო ბენ ბელა!

ნება მიბოძეთ ამ დარბაზში მყოფი ყველა მოსკოველის სახელით მხურვალედ მოგილოცოთ საბჭოთა კავშირის გმირის წოდებისა და „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის მონიჭება.

ეს ჯილდოები გამოხატავენ იმას, თუ რა დიდად აფასებენ საბჭოთა ხალხი და მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა თქვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეობას, თქვენს გმირულ ბრძოლას ალჟირის ხალხის თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და ბედნიერებისათვის.

გისურვებთ ძვირფასო ამხანაგო ბენ ბელა, ახალ დიდ წარმატებებს ამ კეთილშობილურ მოღვაწეობაში!

ამხანაგებო! ჩვენ ვცხოვრობთ შესანიშნავ ეპოქაში, რომლის მაუწყებელი იყო რუსეთის მშრომელთა 1917 წლის ოქტომბრის დიდი რევოლუცია — მსოფლიოში პირველი ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია, რომელსაც სათავეში ედგა ლენინი.

ჩვენი დრო ჩაგვრიდან თავისუფლებისაკენ, კაპიტალიზმიდან სოციალიზმსა და კომუნიზმზე კაცობრიობის ისტორიული გადასვლის დროა. იმპერიალიზმისა და მისი კოლონიური სისტემის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა მეგობრობის მტკიცე ხიდს დებს სხვადასხვა რასისა და ეროვნების ხალხებს შორის, მსოფლიოს სხვადასხვა რაიონისა და კონტინენტის სახელმწიფოებს შორის. ამ დიადმა განმათავისუფლებელმა ბრძოლამ — ჩვენი დროების ნიშანმა — მტკიცედ დაუმეგობრა ერთმანეთს ჩვენი ქვეყნების — ალჟირისა და საბჭოთა კავშირის ხალხებიც.

როცა იცავდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სამართლიან საქმეს იმ უზარმაზარ არმიასთან ბრძოლაში, რომელიც კოლონიზატორებმა დასძრეს ალჟირის წინააღმდეგ, თქვენი ქვეყნის ხალხი დაეყრდნო ბევრი ქვეყნის დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების თანაგრძნობასა და მხარდაჭერას.

საბჭოთა სახელმწიფო, საბჭოთა ხალხი მუდამ უჭერდნენ მხარს ალჟირის რევოლუციას.

მე მინდა გაგახსენოთ, რომ იმ დროს, როცა გაჩაღებული იყო ალჟირელი ხალხის ომი კოლონიზატორთა უღლისაგან განთავისუფლებისათვის, საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა საქვეყნოდ გამოთქვა ჩვენი აზრი ამ ომის შესახებ, მან თქვა: „...**ეს არის ხალხის განმათავისუფლებელი ომი თავისი დამოუკიდებლობისათვის. ეს არის წმიდათა-წმიდა ომი. ჩვენ ვაღიარებთ ასეთ ომებს, ვეხმარებით და კვლავაც დავეხმარებით ხალხებს, რომლებიც თავისუფლებისათვის იბრძვიან**“.

მებრძოლ ალჟირელ ხალხს მორალურ და მატერიალურ დახმარებას რომ უწევდა, საბჭოთა კავშირს ეს მიაჩნდა თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულებად. ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ურყევი კანონი ის არის, რომ მხარი დაუჭირონ ხალხებს, რომლებიც თავიანთი დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. ამას გვასწავლიდა დიდი ლენინი, **ჩვენ მისი ანდერძის ერთგულნი ვიყავით და ვართ.**

ზუსტად ორმოცდაათი წლის წინათ, 1914 წლის მაისში, რუსეთში პირველად გამოქვეყნდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის შესანიშნავი ნაშრომი **„ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ“**. მაშინ აფრიკისა და აზიის მეტი წილი ქვეყნები სხვადასხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კოლონიები ან ნახევრადკოლონიები იყვნენ.

საკმაოდ ცნობილი ინგლისელი კოლონიზატორი ლორდი სესილ როდსი, რომელიც გასული საუკუნის დამლევს მეთაურობდა ინგლისელი იმპერიალისტების მიერ სამხრეთ აფრიკის უდიდესი ტერიტორიების დაპყრობას, ისეთი აღტაცებული იყო თავისი მძარცველური „გმირობით“, რომ ერთ-ერთ თავის ლექსში, რომელთა შეთხზვითაც ზოგჯერ ერთობოდა, გამოთქვა ოცნება ჩვენი პლანეტის ფარგლებს გარეთ სხვა სამყაროთა.. კოლონიზაციის შესახებ! როგორც ხედავთ, ამხანაგებო, იმ დროს მონათმფლობელებს, ასე ვთქვათ, კოსმოსური მასშტაბის მადა აღეძრათ. კოლონიალიზმის ციხე-სიმაგრეები მიუვალი ეგონათ.

და აი ამ დროს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა დასვა და დაასაბუთა ჩაგრულ ერთა თვითგამორკვევის უფლების, მათი ეროვნული განთავისუფლების საკითხი. ლენინი წერდა: „ერთა სრული თანასწორუფლებიანობა; ერთა თვითგამორკვევის უფლება; ყველა ერის მუშების შეერთება — ამ ნაციონალურ პროგრამას ასწავლის მუშებს მარქსიზმი, ასწავლის მთელი მსოფლიოს და რუსეთის გამოცდილება“.

მას შემდეგ მხოლოდ ნახევარი საუკუნე გავიდა. მაგრამ ის, რაც 50 წლის წინათ ჯერ კიდევ თეორიული პრობლემა და პოლიტიკური ამოცანა იყო, ჩვენს დროში, მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის ძლევამოსილი მსვლელობისა და ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის უმაგალითო აღმავლობის ეპოქაში, რეალური სინამდვილე გახდა.

აფრიკის დიადი კონტინენტი, რომელიც საუკუნეობით იმპერიალისტთა კოლონიური ძარცვის ობიექტი, მათი გამდიდრების წყარო იყო, გადაიქცა ბობოქარ ვულკანად, მიწა იწვის კოლონიზატორთა ფეხქვეშ. ხალხები ერთიმეორის მიყოლებით გამოდიან დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე. შეიძლება ითქვას, რომ კარტოგრაფები ჩვენს დროში ვერ ასწრებენ შეადგინონ აფრიკის პოლიტიკური რუკები, რომლებზეც ჩნდება სულ ახალ-ახალი ფერები — ახალგაზრდა სახელმწიფოების ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ფერები.

ფრანგ კოლონიზატორებზე ალჟირელი ხალხის გამარჯვებით დაიწყო ახალი ისტორიული ეტაპი ბრძოლისა აფრიკის და არაბული სამყაროს ხალხთა განთავისუფლებისათვის იმპერიალისტთა კოლონიური ბატონობისაგან.

მაგრამ ბრძოლა არ დამთავრებულა, ამხანაგებო. ჯერ კიდევ იღვრება აფრიკელთა სისხლი ანგოლასა და მოზამბიკში. ჯერ კიდევ თარეშობენ რასისტი ურჩხულები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და სამხრეთ როდეზიაში. ჯერ კიდევ იტანჯებიან მონობაში ათობით კოლონიის, პროტექტორატისა და დამოკიდებული ტერიტორიის ხალხები აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაში.

საბჭოთა მთავრობის ინიციატივით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ სამნახევარი წლის წინათ მიიღო დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი — დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. ახლა ამოცანა ის არის, რომ ვაიძულოთ კოლონიზატორები დაუყოვნებლივ, უთუოდ და მთლიანად შეასრულონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეს მოთხოვნა.

საბჭოთა ადამიანები დიდი პატივისცემით ეკიდებიან იმ თვალსაჩინო როლს, რომელსაც ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა და პირადად პრეზიდენტი აჰმედ ბენ ბელა ასრულებენ კოლონიალიზმის წინააღმდეგ ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში. ამ კეთილშობილურ ბრძოლაში ჩვენ ერთგული მოკავშირენი და ერთგული მეგობრები ვართ.

ღრმა და მწვავე წინააღმდეგობანი ღრღნიან იმპერიალისტურ ბანაკს. მაგრამ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მძლავრი იერიშის გამო იმპერიალისტები მაინც იძულებული არიან ერთად იმოქმედონ, რათა როგორმე შეინარჩუნონ თავიანთი პოზიციები კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში.

ვნახოთ, მაგალითად, რა მდგომარეობაა ანგოლაში. იქ კოლონიურ ომს მარტო პორტუგალია როდი ეწევა. მარტო პორტუგალია, ეჭვი არ არის, დიდხანს ვერ გაუძლებდა განმათავისუფლებელი მოძრაობის შეტევას. საქმე ის არის, რომ იარაღს კოლონიზატორთა ომისათვის ანგოლისა და მოზამბიკის ხალხთა წინააღმდეგ აწვდიან პორტუგალიის ნატოელი მოკავშირეები. დასავლეთი გერმანია იქ გზავნის „ტექნიკურ სპეციალისტებს“, რომლებიც წვრთნიან პორტუგალიის ჯარებს. ასეთსავე სურათს ვხედავთ სამხრეთ ვიეტნამში, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ჩარევას მხარს უჭერს სეატოს იმპერიალისტური ბლოკი. ფაქტიურად ყოველივე ეს იმპერიალისტთა საერთო ფრონტია ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ხალხებს, რომლებიც განთავისუფლებისათვის იბრძვიან, გაუჭირდებათ ცალცალკე გაუმკლავდნენ კოლონიზატორთა კოალიციას. ამიტომ არის ესოდენ საჭირო მთელი ანტიიმპერიალისტური და ანტიკოლონიური ძალების შეკავშირება, ერთიანობა.

იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში შეიქმნა სოციალისტური ქვეყნების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის დიადი კავშირი.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ამხანაგ ბენ ბელას სიტყვებს, რომელმაც ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ამასწინანდელ ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავიანთ ბრძოლაში აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხებმა შეიძინეს მოკავშირეები ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში და რომ ეს დიდმნიშვნელოვანი კავშირია, როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის, რამდენადაც იმპერიალიზმი ჩვენი საერთო მტერია.

სამწუხაროდ, ახლა ზოგიერთნი ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ამ კავშირს, რაღაც ხელოვნურად შექმნილი კედლით ჩამოაშორონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მსოფლიო სოციალისტურ თანამეგობრობას, კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასსა და დემოკრატიულ მოძრაობას. **ასეთი ცდები სასარგებლოა, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმპერიალისტებისათვის.**

მაგრამ ბატონი იმპერიალისტები ნაადრევად ნუ მიეცემიან სიხარულს: ვერავინ ვერ შეძლებს დაანგრიოს ჩვენი დიადი კავშირი! მისი განმტკიცება გვიანდერძა ლენინმა, რომელიც ხაზს უსვამდა იმას, რომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთის ხალხთა რევოლუციური მოძრაობის უაღრესად მჭიდრო კავშირს ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციურ ბრძოლასთან საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. **ისტორიამ დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ვ. ი. ლენინის ანდერძი ყველაზე საიმედო გზის მაჩვენებელია ჩვენი საერთო საქმის, თავისუფლების, მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერების საქმის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმის გამარჯვებისათვის.**

ძვირფასო ალჟირელო მეგობრებო!

თქვენ აქ ჩამოხვედით უშუალოდ მას შემდეგ, რაც ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა ახალგაზრდა ალჟირის სახელმწიფოს ისტორიაში. აპრილის დამლევს დამთავრდა პარტია ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ყრილობა. ამ ყრილობაზე ამხანაგმა ბენ ბელამ, ჩამოაყალიბა რა უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც ახლა დგას ალჟირის პარტიისა და ხალხის წინაშე, მოუწოდა დასახონ სოციალიზმის გზით განუხრელი და ორგანიზებული წინსვლის გეზი, აღმოფხვრან ალჟირში კაპიტალიზმის ფესვები, ულმობელი ბრძოლა აწარმოონ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, ამასთან მტკიცედ დაეყრდნონ მუშებსა და გლეხებს, გაამაგრონ მათი კავშირი.

მოიშორა რა კოლონიური ბორკილები, ალჟირის ხალხმა მტკიცედ და აშკარად აირჩია სოციალიზმი. მან გადაწყვიტა სამუდამოდ განთავისუფლდეს კაპიტალისტური თვითნებობისა და ჩაგვრისაგან, მასების სიღატაკისაგან, რასაც წარმოშობს ერთი მუჭა ექსპლოატატორების გამდიდრება. ალჟირის ამ არჩევანს, ალჟირის რევოლუციის გამოცდილებას უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა აქვს არა მარტო თვით ალჟირელი ხალხისათვის, არამედ აგრეთვე ბევრი სხვა ქვეყნის ხალხებისათვის, რომლებიც დამოუკიდებელი განვითარების გზას ადგებიან.

ხალხისა და მთავრობის ერთიანობამ და შეკავშირებამ საშუალება მისცა ახალგაზრდა ალჟირის რესპუბლიკას მოკლე ვადაში განეხორციელებინა დიდი მნიშვნელობის ფართო სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები. სამ მილიონამდე ჰექტარი საუკეთესო მიწა, რომელიც წინათ უცხოელების ხელში იყო, ახლა ალჟირელი ხალხის საკუთრება გახდა. ხალხის ხელში გადავიდა ალჟირის რკინიგზები, ნავსადგურები, ელექტროსადგურები, ბევრი სამრეწველო საწარმო, დიდი საცხოვრებელი ფონდი ქალაქებში. ყოველივე ეს იმას მოასწავებს, რომ ალჟირში ვითარდება ახალი ურთიერთობა კაპიტალისტური გამდიდრების მტაცებლური კანონებისაგან, ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებულ ადამიანებს შორის.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, სრული გაგებით და მხურვალე სიმპათიით ვუყურებთ ალჟირის რევოლუციის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვერავინ შეაჩერებს ალჟირის სვლას მისი ხალხის მიერ არჩეული გზით, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის გზით!

ამხანაგებო!

ჩვენ გვახარებს, რომ წლინახევრის განმავლობაში, რაც ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, მან არათუ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს თავის საშინაო ცხოვრებაში, არამედ ღირსეული ადგილიც დაიკავა საერთაშორისო ასპარეზზე. მისი საერთაშორისო ავტორიტეტი განუხრელად იზრდება. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან ალჟირის მთავრობა ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება არა მარტო ალჟირელი ხალხის, არამედ აგრეთვე ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ძირეულ ინტერესებს, — მშვიდობის განმტკიცების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერის პოლიტიკას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან, აფრიკისა და არაბული სახელმწიფოების მეთაურთა თათბირებზე, ჟენევის კონფერენციაზე ვაჭრობისა და განვითარების შესახებ — ყოველ საერთაშორისო ფორუმზე, სადაც გაისმის ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხმა, ეს მშვიდი, სამართლიანი და ვაჟკაცური ხმა აძლიერებს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა გაფრთხილებას ყველაზე აგრესიული იმპერიალისტური წრეების მიმართ, მოწოდებებს, რომ სადავო საერთაშორისო პრობლემები მოწესრიგდეს მოლაპარაკების გზით, მოთხოვნებს, რომ ჩვენი პლანეტა გაიწმინდოს კოლონიური მონობის ბორკილების უკანასკნელი ნამსხვრევებისაგან.

ისევე, როგორც საბჭოთა კავშირი, ალჟირი ერთგულად იცავს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს. ამ პრინციპების თანმიმდევრულ განხორციელებას სულ უფრო საგრძნობი ნაყოფი მოაქვს. საერთაშორისო მოვლენათა განვითარება გვიჩვენებს, რომ მოსკოვის ხელშეკრულება ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, რომლის დადებას მიესალმა ალჟირის მთავრობა და რომლის მონაწილეც იგი გახდა, მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყო საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლის გზაზე.

შემდეგი ნაბიჯი იყო შეთანხმების მიღწევა, რომ კოსმოსში გაყვანილ არ იქნას ატომური იარაღით აღჭურვილი ობიექტები. ეს ხელშეკრულება, როგორც იცით, განამტკიცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVIII სესიის რეზოლუციამ.

ამას წინათ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ამავე მიმართულებით, რათა კვლავ შეიზღუდოს და შეფერხდეს გამალებული ატომური შეიარაღება. მხედველობაში მაქვს ღონისძიებანი, რომლებიც სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებმა მიიღეს ურთიერთ მაგალითის პოლიტიკის განხორციელების წესით, რათა შემცირდეს სამხედრო მიზნებისათვის საჭირო ხლეჩადი მასალების წარმოება, ე. ი. სწორედ იმ მასალების წარმოება, რომლებიც ატომური და წყალბადის ბომბების დასატენად იხმარება.

(დასასრული მე-2 გვ.)

## აჰმედ ბენ ბელას პატივსაცემად

**მოსკოვი, 6 მაისი. (საკდესი).** დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში გამართეს დარბაზობა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხანაგ აჰმედ ბენ ბელას პატივსაცემად.

პრეზიდენტთან ერთად იყვნენ მასთან ერთად სსრ კავშირში ჩამოსული ალჟირის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, ამხანაგები ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი და სხვები.

## საუბრები იტალიის კპ დელეგაციასთან სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

**ამ** დღეებში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ნ. ვ. პოდგორნი და მ. ა. სუსლოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. ვ. ანდროპოვი და ბ. ნ. პონომარიოვი, და იტალიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც მოსკოვში იმყოფება და რომლის შემადგენლობაში იყვნენ იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრები, იტალიის კომუნისტური პარტიის მდივნები პ. ინგრაო და ე. ბერლინგუერი და იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრი ა. კოლომბი.

საუბრების დროს, რამაც ამ ორ პარტიას შორის არსებული გულწრფელი მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით ჩაიარა, განხილული იყო საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისა და მისი ერთობის აქტუალური საკითხები.

5 მაისს იტალიის კომპარტიის დელეგაცია სამშობლოში გაფრინდა. იტალიელი ამხანაგები აეროდრომზე გააცილეს ამხანაგებმა ნ. ვ. პოდგორნიმ, მ. ა. სუსლოვმა და ი. ვ. ანდროპოვმა. (საკდესი).

## გულთბილი შეხვედრები ძვირფას სტუმართან

**ლენინგრადი, 6 მაისი.** (საკდესი). ათასობით ლენინგრადელი გამოვიდა დღეს მაისის მზით გაბრწყინებულ ქუჩებში, რათა გაეცილებინა მოსკოვს მიმავალი ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი აჰმედ ბენ ბელა და ალჟირის სხვა პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწენი.

აეროპორტში სტუმრები გააცილეს ქალაქის მშრომელების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა.

აჰმედ ბენ ბელასთან და მის თანამგზავრებთან ერთად მოსკოვს გაფრინდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სხვები.

**მოსკოვი,** 6 მაისი. (საკდესი) დღეს ლენინგრადიდან მოსკოვს დაბრუნდა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი, ალჟირის პარტიის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გენერალური მდივანი აჰმედ ბენ ბელა.

მასთან ერთად საბჭოთა კავშირის დედაქალაქში დაბრუნდნენ ალჟირის პარტიის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები საგარეო საქმეთა მინისტრი აბდელ აზიზ ბუტეფლიკა, ეროვნული ეკონომიკის მინისტრი ბაშირ ბუმაზა, სოციალურ საქმეთა მინისტრი მოჰამედ სეგირ ნეკაში, ალჟირის არმიის გენერალური შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ტაჰარ ზბირი და ეროვნული კრების დეპუტატი ქალაქ ალჟირისაგან ჰუსინ ზეჰუანი, ალჟირის პარტიის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრი სახელმწიფო მინისტრი ამარ უზგანი, აგრეთვე ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში მოჰამედ ბენიაჰია და პრეზიდენტის სხვა თანმხლები პირნი.

მოსკოვში დაბრუნდნენ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი, საბჭოთა კავშირის ელჩი ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნ. მ. პეგოვი და სხვანი, რომლებიც აჰმედ ბენ ბელას ახლდნენ.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ალჟირისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, აჰმედ ბენ ბელას შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებების გამგეები დ. პ. პოჟიდაევი, გ. ი. ტუნკინი.

## ნ. ს. პატოლიჩევი ესაუბრა ალჟირის ეროვნული ეკონომიკის მინისტრს

**მოსკოვი,** 6 მაისი. (საკდესი). საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა დღეს მიიღო ალჟირის ეროვნული ეკონომიკის მინისტრი ბაშირ ბუმაზა. საუბრის დროს განხილულ იქნა საბჭოთა კავშირ-ალჟირის ვაჭრობის გაფართოებასთან დაკავშირებული საკითხები.

ნ. ს. პატოლიჩევმა და ბაშირ ბუმაზამ გამოთქვეს რწმენა, რომ წარმატებით განვითარდება საქმიანი ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის.

## ჩვენს დიდ სამშობლოში

## მიფრინავს „ზონდი-1“

### საკდესის ცნობა

**ერთ** თვეზე მეტია ფრენას განაგრძობს ავტომატური სადგური „ზონდი-1“ კოსმოსურ სივრცეში. ამ ხნის განმავლობაში ავტომატურ სადგურთან მოეწყო რადიოკავშირის 60 სეანსი. სადგურიდან მიღებულია სამეცნიერო ინფორმაცია, მონაცემები სადგურის სისტემათა მუშაობის შესახებ და ცნობები გათვალისწინებული კვლევის პროგრამის შესრულების შესახებ. დედამიწიდან გადაცემული რადიოსიგნალებით ხდებოდა სადგურის აპარატურისა და ენერგოკვების სისტემის ელემენტების გადართვა, წესდებოდა ასტროორიენტაციის სისტემის მუშაობის სხვადასხვა რეჟიმი, რასაც ამუშავებდა სადგურის მართვის სისტემა.

წარმოებს სადგური „ზონდი-1“ ფრენის შესახებ მიღებული ტელემეტრიული ინფორმაციის დამუშავება და შესწავლა.

5 მაისს 18 საათისათვის მოსკოვის დროით ავტომატური სადგური „ზონდი-1“ დაშორებული იყო დედამიწას 10,137 მილიონი კილომეტრით. სადგური შორდებოდა დედამიწას წამში 3,44 კილომეტრით. ამ დროისათვის სადგურის კოორდინატები იყო: — პირდაპირი ზეასვლა — 5 საათი და 44 წუთი; დახრილობა — მინუს 4 გრადუსი და 30 მინუტი.

## ამხ. ზ. ა. კვაჭაძემ მიიღო განის ქალთა დელეგაცია

**6 მაისს** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ მიიღო განის ქალთა დელეგაცია, რომელიც საქართველოში იმყოფება. დელეგაციის შემადგენლობაში არიან განის ქალთა ეროვნული საბჭოს ეროვნული მდივანი მარგარეტ მარტეი, განის ქალთა ეროვნული საბჭოს წევრი აკრიდან მარგარეტ ტომპსონი, განის ქალთა ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელობის წევრი ლეტიშია კვეი და ტაკორადის პროვინციის ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე ესი ელუა.

მიღებას დაესწრნენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ე. ღლონტი, მწერალი მ. ბარათაშვილი, პროფესორი თ. ღლონტი, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი თ. აბაშიძე, საქართველოს ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი ნ. ჯავახიშვილი.

მიღებამ გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

# მშვიდობის, თავისუფლებისა და სოციალიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის!

(დასასრული)

ჩვენ არ გვინდა გავაზვიადოთ, მაგრამ არც გვინდა შევამციროთ საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესების, სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცების იმ პროცესის პირველი შედეგების მნიშვნელობა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების დადებამ.

პირველად მას შემდეგ, რაც შეიქმნა ატომური იარაღი და კაცობრიობას თავს დაადგა თერმოატომური ომის აჩრდილი, შესაძლებელი გახდა განხორციელებულიყო მთელი რიგი თანმიმდევრული და გარკვეული თვალსაზრისით ურთიერთშემვსები ღონისძიებანი, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ატომური შეიარაღების დარგში თითქოს მოქმედი „ტაბუ" ახლა მოხსნილია, რომ ეს დარგიც შეიძლება გახდეს შეთანხმების, მოლაპარაკების ან სახელმწიფოთა პარალელური მოქმედების სფერო. თუმცა თვითეული დასახელებული ღონისძიება როგორც ცალკე, ისე ერთად აღებული, პრაქტიკულად ჯერ კიდევ განიარაღება არ არის, მიუხედავად ამისა, ისინი ამზადებენ და აადვილებენ განიარაღებაზე გადასვლას ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

ღონისძიებანი, რომელთა პირველი რგოლი იყო მოსკოვის ხელშეკრულება, ემსახურება იმ კეთილშობილურ მიზანს, რომ ჩვენი პლანეტა გაიწმინდოს ატომური არსენალებისა და პოლიგონებისაგან და კაცობრიობა განთავისუფლდეს ატომური ომის საფრთხისაგან.

თუ არ შეგვიძლია ჯერ კიდევ ვთქვათ, რომ „ცივი ომის" ყინული უკვე ნამდვილად დაიძრა, ყოველ შემთხვევაში უნდა ვაღიაროთ, რომ მას ბზარი გაუჩნდა, რღვევას იწყებს. აი როგორც ადრე გაზაფხულზე იცის ხოლმე: ყინულთსვლა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ მდინარე უკვე მთლიანი ყინულით როდია დაფარული, იგი გაზაფხულის წყალდიდობის მოლოდინშია და აქა-იქ უკვე შესამჩნევია ბზარები. რასაკვირველია, მდინარეები გაცილებით უფრო მალე თავისუფლდებიან ყინულისაგან, ხოლო „ცივი ომის" ყინულის დნობის პროცესი შედარებით უფრო ნელი, რთულია, მოითხოვს ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს მეცადინეობის გაძლიერებას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ახალ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, რაც ხელს შეუწყობს განიარაღებასა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში ამ ბოლო დროს მიღწეული გარკვეული პროგრესი თავისთავად, რაიმე მაგიური შელოცვებისა და ფრაზების ზემოქმედების შედეგად როდია მოპოვებული. ეს არის მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის სულ უფრო აქტიურად განხორციელების შედეგი,

[illegible]

## ამხანაგ აჰმედ ბენ ბელას სიტყვა

[illegible]

## პრემიები ელექტროენერგიის დაზოგვისა და სიმძლავრის კოეფიციენტის გადიდებისათვის

[illegible]

## ეკონომიური ანალიზის საზოგადოებრივი ბიუროები

[illegible]

# სამყაროს დიდი მეკავშირე

[illegible]

რომში. ამჟამად მოქმედი რადიოტელესკოპი, რომლის ტალღების დიაპაზონია შვიდნახევრიდან თხუთმეტ მეტრამდე, შესაძლებელს ხდის სამყაროს ისეთი შორეული ადგილებიდან მომავალი სიგნალების ფიქსირებას, საიდანაც სინათლე დედამიწას 1.800 წლის მანძილზე აღწევს.

რადიოელექტრონიკა დიდ როლს ასრულებს მრეწველობაში როგორც საშუალება ტექნოლოგიური პროცესების მართვისა ადამიანის მონაწილეობის მიუღებლად. დიდი ქიმიის შექმნა წარმოუდგენელია ყველა ქიმიური პროცესის ავტომატიზაციის განუხორციელებლად. რადიოელექტრონიკის შემდგომი განვითარება თავის მხრივ დიდად არის დამოკიდებული ქიმიაზე, მან რადიოელექტრონიკას უნდა მისცეს უახლესი მასალები, რომლებშიც გარეშე მინარევები პროცენტის მემილიონედ, ხოლო ზოგჯერ მემილიარდედ ნაწილს არ უნდა აღემატებოდეს.

რადიოტექნიკა და ელექტრონიკა დანერგილია მეცნიერების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. იგი ყველგან ეწევა ისეთ სამსახურს, რომელიც მანამდე მიუღწეველი იყო. ის, რაზეც XIX საუკუნის დამლევს ოცნებაც კი არ შეეძლოთ ყველაზე ნიჭიერ მეცნიერებსა და გაბედულ მეოცნებეებს, რადიოელექტრონიკის და რადიოტექნიკის და მისი პირმშოს — კიბერნეტიკის შემწეობით ჩვენს დროში რეალური სინამდვილე გახდა.

რადიოტექნიკისა და რადიოელექტრონიკის განვითარების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანეს საბჭოთა მეცნიერებმა. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ძირეულად შეცვალა ჩვენს ქვეყანაში რადიოს განვითარების საქმე. საბჭოთა სახელმწიფოს ჯერ კიდევ პირველ წლებში ვ. ი. ლენინის პირადი მითითებით შეიქმნა ნიჟნი-ნოვგოროდის რადიოლაბორატორია. ამ ლაბორატორიაში თავი მოუყარეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო რადიოსპეციალისტებს. ვ. ი. ლენინი განუწყვეტლივ ადევნებდა თვალს ლაბორატორიის მუშაობას და დახმარებას უწევდა მას. ლაბორატორიის მუშაობა მას დიდ საქმედ მიაჩნდა.

ვ. ი. ლენინისა და ჩვენი პარტიის მზრუნველობით აღზრდილ იქნა რადიოტექნიკის, რადიოელექტრონიკის, რადიოკავშირგაბმულობისა და რადიომაუწყებლობის დარგის საბჭოთა მეცნიერების მთელი პლეადა.

1922 წელს ნიჟნი-ნოვგოროდის ლაბორატორიის თანამშრომელმა ო. ვ. ლოსევმა მოახდინა აღმოჩენა, რომელმაც მსოფლიო აღიარება ჰპოვა. მან გამოარკვია, რომ ლითონისა და ნახევარგამტარის კონტაქტს შეუძლია გამოიწვიოს ელექტრორხევა და გააძლიეროს ელექტრონი. ამ დიდმა აღმოჩენამ ხელი შეუწყო მეცნიერებსა და გამომგონებლებს შეექმნათ ნახევარგამტარიანი ხელსაწყოები, რომლებსაც ახლა ფართოდ იყენებენ რადიოელექტრონიკაში.

ისეთი შესანიშნავი საბჭოთა მეცნიერების შრომით, როგორიც არიან ვ. პ. ვოლოგდინი, ლ. ი. მანდელშტამი, ნ. დ. პაპალექსი, ბ. ა. ვვედენსკი, ა. გ. არენბერგი, ა. ა. ასტაფიევი, მ. ვ. შულეიკინი, ი. გ. კლიაცკინი, ს. ი. ხადეენკო და მრავალი სხვა, შექმნილია არა მარტო სამამულო რადიოტექნიკა, არამედ რადიოელექტრონიკაც, როგორც ჩვენი ქვეყნის მრეწველობის დარგი.

განსაკუთრებით გამარევოლუციურებელი გავლენა რადიოტექნიკამ და რადიოელექტრონიკამ მოახდინა ელექტროკავშირგაბმულობაზე იმით, რომ პრაქტიკულად შესაძლებელი გახდა სატელეფონო, სატელეგრაფო და ვიზუალური კავშირგაბმულობა ყოველ მანძილზე და ყოველი სიმძლავრისა. წარმოიშვა ისეთი ახალი საშუალებანი, როგორიც არის რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

ჩვენი სახელმწიფოს არსებობის უკვე პირველ წლებში ვ. ი. ლენინმა გენიალური შორსმჭვრეტელობით განსაზღვრა რადიოს უდიდესი მნიშვნელობა მშრომელთა პოლიტიკური აღზრდისათვის. იგი რადიოს უწოდებდა უქაღალდო და უმანძილო გაზეთს. რადიოს აღმზრდელობითი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება ჩვენს დროში. ახლა საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობა ყოველდღიურად ისმენს რადიოთი პოლიტიკურ ინფორმაციას, ლიტერატურულ, მუსიკალურ და სხვა დიდმნიშვნელოვან გადაცემებს. საბჭოთა რადიოს ხმა მთელ მსოფლიოში გაისმის. რადიომაუწყებლობა ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება 106 ენაზე, მათ შორის 44 უცხო ენაზე.

ჩვენს ქვეყანაში რადიომაუწყებლობის ტექნიკური ბაზის განვითარება წარმოებს როგორც გრძელ, საშუალო და მოკლე ტალღებზე მომუშავე მძლავრი რადიოსადგურების აგების გზით, ისე ულტრამოკლე ტალღების დიაპაზონში მომუშავე რადიოსადგურების ქსელის შექმნის გზით.

დიდი ყურადღება დაეთმობა სტერეოფონიული მაუწყებლობის პროგრამების გადაცემათა ორგანიზაციას. დასახულია ამოცანა დამთავრდეს ჩვენი ქვეყნის მთლიანი რადიოფიკაცია.

ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალპროგრამიანი მაუწყებლობის აპარატურის დანერგვას. ეს სისტემა, მცირე მისაბრჯენის შემწეობით, შესაძლებლობას აძლევს რადიოსატრანსლაციო წერტილის მფლობელს სამი პროგრამიდან, რომლებიც გადაიცემა რადიოფიკაციის არსებული ქსელის ხაზით, ამოირჩიოს ერთ-ერთი.

ტელევიზია, ისევე როგორც პრესა და რადიომაუწყებლობა, საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და კულტურული აღზრდის უმნიშვნელოვანესი იარაღია. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში უკვე მოქმედებს 106 სატელევიზიო ცენტრი და 40 მძლავრი რადიოსატრანსლაციო სადგური, რამაც შესაძლებელი გახადა სატელევიზიო მაუწყებლობით მომსახურება ჩვენი ქვეყნის 90 მილიონზე მეტი მოსახლისა. დასახულია ამოცანა უახლოეს წლებში სატელევიზიო მაუწყებლობა გავრცელდეს საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე. სატელევიზიო მიმღებთა პარკს უკვე შეადგენს 11 მილიონზე მეტი ტელევიზორი.

საქალაქთაშორისო საკაბელო და რადიორელეური ხაზების ქსელის განვითარება შესაძლებელს ხდის სატელევიზიო პროგრამების შორ მანძილზე გადაცემის განხორციელებას. მოსკოვის ცენტრალურ სატელევიზიო გადაცემას უკვე იღებს ჩვენი ქვეყნის 48 ქალაქი, ხოლო სატელევიზიო პროგრამების გაცვლას მოსკოვის სატელევიზიო ცენტრი ახორციელებს მოკავშირე რესპუბლიკების 6 დედაქალაქთან და ჩვენი ქვეყნის 19 დიდ ქალაქთან. შვიდწლედის დამლევისათვის მას სატელევიზიო გაცვლა ექნება თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქებთან და ჩვენი ქვეყნის ბევრ სხვა დიდ ცენტრთან. მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში სატელევიზიო გადაცემებს დაერთვის გახმოვანება ორ ენაზე.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, რადიომაუწყებლობის, რადიოკავშირგაბმულობისა და ელექტროკავშირგაბმულობის სწრაფი განვითარება საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველივე წლებიდან დაიწყო.

1924 წლის 13 თებერვალს ახალგაზრდა ქართველი რადისტების მეცადინეობით განხორციელებულ იქნა პირველი რადიოტრანსლაცია თბილისის ოპერის თეატრიდან. ამ რადიოტრანსლაციის მსმენელებმა იგი დაახასიათეს როგორც „ტექნიკის სასწაული". ახლა კი საქართველოში ყოველდღიურად მუშაობს რამდენიმე ათეული მძლავრი რადიომაუწყებლობის სადგური 2000-დან 4 მეტრამდე დიაპაზონით, მათ შორის აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში. ქართველი მეკავშირეები სისტემატურად და მაღალხარისხოვნად ასრულებენ ურთულეს დავალებებს კოსმოსურ ხომალდებთან რადიოკავშირის დამყარებაში, უზრუნველყოფენ მყარ რადიოკავშირს თავისუფლების კუნძულთან — კუბასთან და საქართველოს მრავალი ათასი კილომეტრით დაშორებულ ბევრ ქვეყანასთან.

1957 წლიდან სისტემატურ სატელევიზიო გადაცემებს ახორციელებს თბილისის სატელევიზიო რადიოცენტრი, რომელიც თანამედროვე სატელევიზიო რეტრანსლატორების შემწეობით უზრუნველყოფს კარგ მიღებას არა მარტო თბილისის გარშემო მდებარე რაიონებში, არამედ აგრეთვე კახეთში, ახალციხეში, გორში, ცხინვალში, ლენინგორში, 1963 წლის ნოემბრიდან მუშაობა დაიწყო ქუთაისის სატელევიზიო კომპლექსმა კავშირგაბმულობის რადიორელეური ხაზით, რომელიც უზრუნველყოფს სატელევიზიო პროგრამის გადაცემას თბილისიდან. ქუთაისიდან სატელევიზიო რადიოგადაცემათა დაწყებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა ზონა ტელევიზიის კარგი მიღებისა საქართველოში. ახლა საქართველოში სატელევიზიო პროგრამებს უყურებენ 100.000 ტელევიზორთან. თბილისში გაიშალა რადიოს სახლის მშენებლობა. ეს დიდი და თანამედროვე ნაგებობა მკვეთრად გააუმჯობესებს როგორც რადიომაუწყებლობის, ისე ტელევიზიის ხარისხს. 1967 წელს დამთავრდება თბილისის ტელეცენტრის რეკონსტრუქციის სამუშაოები, არსებული 200 მეტრიანი კოშკი შეიცვლება 300 მეტრიანით. ეს ღონისძიება შესაძლებელს გახდის სისტემატურ სატელევიზიო რადიოგადაცემებს ორი პროგრამით, ხოლო შემდეგ მესამე სატელევიზიო პროგრამის შეტანასაც ფერადი გამოსახულებით.

წელს დამთავრდება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს მოსკოვსა და თბილისს შორის კავშირგაბმულობის რადიორელეური ხაზის მშენებლობის სამუშაოები, რომლის მეოხებითაც ამიერკავკასიისა და სამივე მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქებს შესაძლებლობა მიეცემათ თავიანთი ტელეცენტრების საშუალებით გადასცენ მოსკოვის, ჩვენი სამშობლოს მოძმე რესპუბლიკებისა და ევროპის ბევრი სხვა სახელმწიფოს დედაქალაქების პროგრამები.

უკანასკნელ ოც წელიწადში საქართველოში სწრაფად განვითარდა სადენიანი რადიოფიკაცია. ახლა ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედებს 300 ათასზე მეტი რადიოსატრანსლაციო ხმამაღლა მოლაპარაკე წერტი რადიოკვანძებიდან, რომელთა საერთო სიმძლავრე ასობით კილოვატს აღემატება.

რადიოელექტრონიკამ გარდაქმნა ჩვენი ქვეყნის ელექტროკავშირგაბმულობა. მარტო საქართველოში მუშაობს ათობით ელექტრონული სისტემა, რომლებიც ერთი წყვილი სადენით ასობით კილომეტრ მანძილზე ერთსა და იმავე დროს უზრუნველყოფს 3-დან 15-მდე სატელეფონო ლაპარაკს, ხოლო ანალოგიური მოწყობილობა სიტყვათმბეჭდავი ტელეგრაფიისათვის უკვე ერთ სატელეფონო არხში ათავსებს 16 ერთდროულად მოქმედ სატელეგრაფო კავშირს.

წელს ამუშავდება პირველი რესპუბლიკური საკაბელო მაგისტრალი თბილისი-ქუთაისი, რომელიც აღჭურვილი იქნება მრავალარხიანი ტელეფონისა და ტელეგრაფიის ურთულესი რადიოტექნიკური აპარატურით.

უახლოეს წლებში რესპუბლიკის ყველა რაიონულ ცენტრსა და ქალაქებს ხაზღვლამისო სატელეფონო კავშირი ექნებათ ქალაქ თბილისთან დაუყოვნებლივ დაკავშირების ნახევრადავტომატური სისტემების შემწეობით.

მთავრდება დაპროექტება ახალი მძლავრი ავტომატურად დარეზერვებული სისტემისა, რომლითაც ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკას მყარი კავშირი ექნება ჩვენი ქვეყნის საქალაქთაშორისო სატელეფონო ქსელთან. ამ ურთულესი რადიოტექნიკური ნაგებობის მშენებლობა, რომელიც შესაძლებელს ხდის ათასობით ლაპარაკის ერთდროულად წარმოებას, უმაღლეს დონეზე დააკმაყოფილებს ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობისა და რესპუბლიკების მოსახლეობის მოთხოვნილებას საბჭოთა კავშირის ქალაქებთან კავშირგაბმულობაზე.

უდიდესი მუშაობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ხორციელდება კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებისათვის, სამამულო რადიოტექნიკის, რადიოელექტრონიკის, კოსმოსური რადიოკავშირისა და, ბოლოს, კოსმონავტიკის — საბჭოთა მეცნიერების ამ გვირგვინის — ბრწყინვალე წარმატებანი დამაჯერებლად მოწმობს დიადი კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ჩვენი ხალხის უდიდეს პოტენციურ ძალებს.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა რადისტების შთაგონებული შრომა ჩვენს ხალხს და მთელ კაცობრიობას მოუტანს კიდევ ბევრ შესანიშნავ აღმოჩენას, რომლებზეც ჯერ მხოლოდ ვოცნებობთ.

პ. ქავთარაძე,
საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი.

მოსკოვი. 1895 წელს დიდმა რუსმა მეცნიერმა რადიოს გამომგონებელმა ა. ს. პოპოვმა მოახდინა მსოფლიოში პირველი რადიოაპარატის მუშაობის დემონსტრირება.

განვლილი დროის მანძილზე რადიო და ტელევიზია ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში შევიდა. და 70 წელიწადზე ნაკლები დრო დასჭირდა იმას, რომ საბჭოთა საპლანეტათშორისო სადგურს, საიმედო რადიოკავშირის მეოხებით, გადაეღო მთვარის უხილავი მხარის ფოტოსურათი.

ამჟამად არ არსებობს მეცნიერებისა და ტექნიკის არც ერთი დარგი, სადაც სხვადასხვა რადიოელექტრონულ მოწყობილობასა და ხელსაწყოებს არ იყენებდნენ.

• • •





სურათზე: ა. ს. პოპოვის პირველი რადიოგადამცემი (ზევით) და ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის მაკეტი. 1959 წლის 4 ოქტომბერს ასეთი სადგურიდან პირველად გადაღებულ იქნა მთვარის უხილავი მხარის ფოტოსურათი.

ფოტო ვ. კუნოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

# ხელოვნება და მეგობრობა

## სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომა თბილისში

მესამე დღეა საქართველოს დედაქალაქში სტუმრად იმყოფებიან ჩვენი ქვეყნის სახვითი ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები — მხატვრები, სკულპტორები, ხელოვნებათმცოდნეები. სტუმრებს შორის არიან სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრები და წევრ-კორესპონდენტები, სსრ კავშირის სახალხო მხატვრები, ლენინური და სახელმწიფო პრემიის ლაურეატები, რომლებსაც ყველგან გულთბილად, მეგობრულად ხვდებიან.

პირველ დღეს ჩვენი სტუმრები იყვნენ თავიანთი ნამუშევრების ჯგუფურ გამოფენაზე, რომელიც მოწყობილია საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში, სადაც საინტერესო შეხვედრები და საუბრები გაიმართა გამოფენის დამთვალიერებლებთან. იმავე დღეს სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი.

გუშინ დღის პირველ ნახევარში თბილისის სამხატვრო აკადემიაში შეიკრიბნენ ქართველი მხატვრები, აკადემიის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. აქ არიან აგრეთვე სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრები და წევრ-კორესპონდენტები ვ. სეროვი, ე. ვუჩეტიჩი, ლ. კერბელი, დ. შმარინოვი, ა. ლაქტიონოვი, ი. რომასი, ა. მილნიკოვი, ვ. ორეშნიკოვი, დ. ნალბანდიანი, ე. კაცმანი, ზ. აზგური, ზ. ვილენსკი, ა. გრიცაი, ი. ნეპრინცევი, ი. კოლპინსკი.

მხატვრებმა აკადემიკოსებმა დაათვალიერეს აკადემიის სტუდენტთა და დიპლომანტთა ნამუშევრები, ესაუბრნენ მომავალ მხატვრებს, მაღალი შეფასება მისცეს ბევრი მათგანის ნამუშევარს და აღნიშნეს ზოგიერთი ნაკლოვანი მხარეები.

სტუმრებზე განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა სტუდენტთა ფერწერულმა, გრაფიკულმა და სკულპტურულმა ნამუშევრებმა.

შემდეგ აკადემიის საქტო დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმის გამსვლელი გაფართოებული სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა ვ. სეროვმა.

მოხსენება თბილისის სამხატვრო აკადემიის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობაზე გააკეთა აკადემიის რექტორმა საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა ა. ქუთათელაძემ. დასასრულ მან აღნიშნა, რომ დღევანდელი სხდომა დიდად შეუწყობს ხელს აკადემიას მომავალ მუშაობაში.

ლენინგრადის ი. რეპინის სახელობის სახვითი ხელოვნების ინსტიტუტის რექტორმა ვ. ორეშნიკოვმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ თბილისის აკადემიაში უაღრესად მაღალ დონეზე დგას პროფესიული სწავლება. ამაზე მეტყველებს აქ გამოფენილი ნამუშევრები.

ქართველი მხატვრების სახელით სხდომის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ზ. ლეჟავა.

ლენინური პრემიის ლაურეატმა, სკულპტორმა ლ. კერბელმა ყურადღება გაამახვილა ქანდაკების კომპოზიციურ მხარეზე, ილაპარაკა სტუდენტთა სკულპტურულ ეტიუდებზე და სადიპლომო ნამუშევრებზე. აღნიშნა მათი ღირსებები, გამოთქვა ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა და ილაპარაკა საერთოდ საბჭოთა ქანდაკების განვითარების გზებზე.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ხელოვნებათმცოდნე ი. კოლპინსკი. მან ილაპარაკა ქართული მხატვრობის მდიდარ ეროვნულ ტრადიციებზე და თქვა: ყოველი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თბილისის აკადემიის აღზრდილები სახელოვნად აგრძელებენ და კვლავაც გააგრძელებენ ამ ტრადიციებს.

ცნობილმა საბჭოთა მოქანდაკემ, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა ე. ვუჩეტიჩმა ქებით მოიხსენია სტუდენტთა სკულპტურული ნამუშევრები, მიუთითა, რომ ისინი მართალი, რეალისტური ხელოვნების გზით მიდიან და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათი სახით ქართულ საბჭოთა სახვით ხელოვნებას ღირსეული ცვლა გაეზრდება.

თბილისის სამხატვრო აკადემიის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების კათედრის მუშაობაზე ილაპარაკა კათედრის გამგემ დ. ციციშვილმა.

ბელორუსიის სსრ სახალხო მხატვარმა, საკავშირო სამხატვრო აკადემიის ნამდვილმა წევრმა ზ. აზგურმა ხაზი გაუსვა, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ ხელოვნების ხალხურობას, პარტიულობას, მაღალ იდეურობას. სწორედ ამ სულისკვეთებით უნდა იზრდებოდეს ჩვენი მომავალი თაობა. ამ მხრივ, ჩემი აზრით, თბილისის აკადემიაში სწორი მუშაობა წარმოებს.

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი დ. შმარინოვი თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობის წინაშე ფართო პერსპექტივებია დასახული. ისინი მოწოდებული არიან იყონ თანამედროვე ცხოვრების შუაგულში, მართლად ასახონ საბჭოთა ხალხის გმირული შრომა. თბილისელ სტუდენტთა ნამუშევრები, რომლებსაც აქ გავეცანით, კარგი მომავლის საუკეთესო იმედებს იძლევიან.

პრეზიდიუმის სხდომის მუშაობა საბოლოო სიტყვით შეაჯამა ვ. სეროვმა.

გუშინ დღის მეორე ნახევარში ჩვენი სტუმრები — მხატვარი აკადემიკოსები იყვნენ მცხეთაში, სადაც დაათვალიერეს ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები, ინახულეს ცნობილი მეყვავილე-დეკორატორის მ. მამულაშვილის ბაღი.

დღეს გაიმართება შემოქმედებითი შეხვედრები ქართველ მხატვართა და მოქანდაკეთა სახელოსნოებში.



სურათზე: სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომის მონაწილენი თავიანთ ქართველ კოლეგებთან.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# საბჭოთა მთავრობის დავალებით

ბუდაპეშტი, 5 მაისი. (საქდესი). საბჭოთა მთავრობის დავალებით სსრ კავშირის ელჩმა უნგრეთში გ. ა. დენისოვმა დღეს უნგრეთის რევოლუციურ მუშურ-გლეხურ მთავრობას გადასცა ამხანაგ ბელა კუნის წითელი დროშის ორდენისა და ორდენის წიგნაკის დუბლიკატები. წითელი დროშის ორდენით უნგრეთისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ბელა კუნი დაჯილდოებული იყო 1927 წელს სამოქალაქო ომში აქტიური მონაწილეობისათვის, უცხოელ მუშათა პირველი საბრძოლო რაზმის მოწყობისათვის გერმანელი იმპერიალისტი-ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად 1917 წელს.

უნგრეთის მთავრობის დავალებით ორდენის დუბლიკატი მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრმა იანოშ პეტერმა. მან მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას ამ ღრმა პატივისცემისათვის უნგრეთისა და საბჭოთა ხალხების სახელოვანი რევოლუციური ტრადიციებისადმი, პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის გამოჩენილი მებრძოლის ბელა კუნის ხსოვნისადმი, რომელიც დაიღუპა პიროვნების კულტის წლებში.

ორდენის წიგნაკის მეორე დუბლიკატი გ. ა. დენისოვმა საბჭოთა მთავრობის დავალებით გადასცა ბელა კუნის ცოლს — ბელანა კუნს.

# უცილობელი სამხილი

ჰავანა, 6 მაისი (საქდესი). პინარ-დელ-რიოს პროვინციის ჩრდილოეთ სანაპიროსთან იპოვეს 12 კონტეინერი, რომლებშიც იყო იარაღი, საბრძოლო მასალა და სხვა სამხედრო აღჭურვილობა. ერთ-ერთ კონტეინერში აღმოჩენილია აგრეთვე 15 ათასი პესო.

როგორც პრენსა ლატინას სააგენტო იუწყება, კუბის ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ მთელი აღმოჩენილი აღჭურვილობა განკუთვნილი იყო ძირითადად ტერორისტული და დივერსიული აქტების ჩასადენად. ნაპოვნი იარაღი და საბრძოლო მასალა, აღნიშნულია აგრეთვე კუბის ხელისუფალთა განცხადებაში, წარმოებულია შეერთებულ შტატებში. ბევრ მათგანს აწარმოებენ მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის უწყებები. ამ იარაღისა და სხვა ნაპოვნი საგნების ხასიათი, რომლებიც განკუთვნილია დანაშაულებრივი მოქმედებისათვის, ტერორისტული აქტებისა და დივერსიებისათვის, აგრეთვე მათი უდავო ჩრდილოეთამერიკული წარმოშობა მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უშუალო მონაწილეობა მიიღო კუბის საშინაო საქმეებში აშკარა ჩარევის ამ ახალ აქტში, და მას ეკისრება ამის გამო სრული პასუხისმგებლობა.

# ბუნდესვერი საფრანგეთში

პარიზი, 6 მაისი (საქდესი). ბუნდესვერის 900 ჯარისკაცი ჩავიდა გუშინ საფრანგეთის ქალაქ ბიჩის ბანაკში (მოზელის დეპარტამენტი). ამ ბანაკშიკე მიიტანეს, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო, იარაღი და ტანკები. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჯარის ქვედანაყოფები მესამეჯერ გამართავენ აქ სამხედრო მანევრებს, რომელიც მაისის დამლევამდე გაგრძელდება.

საერთაშორისო ცხოვრება

# პარტიზანთა მოქმედება

ჰავანა, 5 მაისი. (საქდესი). ვენესუელის ეროვნული განთავისუფლების შეიარაღებული ძალების პარტიზანულ რაზმებს სამი საათის განმავლობაში ხელთ ეპყრათ ელ-რეალის პუნქტი, რომელიც მდებარეობს 25 კილომეტრზე ქალაქ ბარინასიდან — ამავე სახელწოდების შტატის დედაქალაქიდან.

როგორც პრენსა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტი კარაკასიდან იუწყება, პარტიზანებმა პოლიციელები და ქალაქის სხვა რეპრესიული ორგანოების აგენტები პრეფექტურის შენობაში ჩაამწყვდიეს და მთელი იარაღი ჩამოართვეს.

სანამ ქალაქს დატოვებდნენ, პარტიზანებმა გამართეს მიტინგი. მეორე პარტიზანულმა რაზმმა ქალაქ მარაკაიბოში ხელთ იგდო რადიოსადგური „ლიბერტადი" და რადიოთი მოუწოდა ვენესუელელ ხალხს იბრძოლოს მთავრობის წინააღმდეგ.

# განვამტკიცოთ ერთიანობა

პარიზი. (საქდესი). საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა მ. ტორეზმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა პარიზის სამხრეთ გარეუბნების პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენციის დელეგატების წინაშე, მოუწოდა განამტკიცონ საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთობა.

ლენინი გვასწავლიდა, თქვა კერძოდ მ. ტორეზმა, როგორ უნდა იბრძოდნენ კომუნისტები — არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, რათა გაიყოლიონ ხალხის მასები, დარაზმონ ისინი. მ. ტორეზმა ილაპარაკა იმ პოზიციებზე, რომლებზეც დაეშვა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა და დაწვრილებით განიხილა მისი მცდარი შეხედულებანი, ამხილა მისი გამთიშველი საქმიანობა. საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად აუცილებელია ფართო იდეოლოგიური და პოლიტიკური ბრძოლის გაშლა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების დასაცავად.

მ. ტორეზმა შეკრებილთ მოაგონა, რომ საფრანგეთის კომპარტიის წინადადებაა კომუნისტური პარტიების საერთაშორისო თათბირის მოწვევა და განაცხადა: ამჟამად უაღრესად აუცილებელია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპები საერთაშორისო მასშტაბით დადასტურდეს.

# საფრანგეთის მერების ყრილობა

პარიზი, 5 მაისი. საქდესის კორესპონდენტი ი. პონომარიოვი იუწყება:

დღეს პარიზის რატუშაში გაიხსნა საფრანგეთის მერების ყრილობა. ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში დემოკრატიული საზოგადოებრიობის მით უფრო დიდ ინტერესს იწვევს, რადგან იგი მიმდინარეობს იმ პერიოდში, რომელიც აღნიშნულია მმართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლებებსა და თავისუფლებებზე გაძლიერებული შეტევით.

უკანასკნელ ხანს საფრანგეთის მთავრობამ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლიან ხელისუფლების ორგანოების სახეს დეპარტამენტებსა და კომუნებში. „ადგილებზე ადმინისტრაციული აპარატის სრულყოფის „საბაბით ხელისუფალთ განზრახული აქვთ შეცვალონ ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები, რომლებსაც ნიშნავენ მოხელეები ზემოდან. ადგილობრივი ადმინისტრაციის „აპოლიტიზაციის" საბაბით მთავრობას განზრახული აქვს ადგილებზე მმართველობის ორგანოებში დასვას მის—და მაშასადამე მსხვილი კაპიტალის ერთგული ადამიანები.

ჯერ კიდევ მერების შარშანდელმა ყრილობამ გამოხატა სერიოზული შეშფოთება, წუხილი იმის გამო, რომ მზადდება ეგრეთ წოდებული „ადმინისტრაციული რეფორმები". პრემიერ-მინისტრმა ჟ. პომპიდუმ მაშინ განაცხადა, რომ ხმები „ადმინისტრაციული რეფორმის" შესახებ, რომელიც ზღუდავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების პრეროგატივებს, „მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს". ეს ნათქვამი იყო გასული წლის თებერვალში, ხოლო მიმდინარე წლის მარტში მთავრობამ გამოაქვეყნა და დაამტკიცა ამ რეფორმის პროექტი!

პარიზის პრესა ამხილებს დე გოლის მთავრობის შეტევას ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებებზე და აღნიშნავს, რომ, უეჭველია, ეს თემა მთავარი იქნება ყრილობაზე. „მაგრამ, — წერს დღეს „ლუმანიტეში" მისი მთავარი რედაქტორი რენე ანდრიე, — ბრძოლა თავისუფლების დასაცავად და გასაფართოებლად ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში არა მარტო ხალხის რჩეულთა, არამედ საფრანგეთის მთელი მოსახლეობის საქმეა". ავტორი მოუწოდებს საფრანგეთის მთელ რესპუბლიკურ ძალებს საკადრისი პასუხი გასცენ ხელისუფალთა ანტიდემოკრატიულ განზრახვას.

# ნიანგების შემოსევა

პარიზი, 6 მაისი (საქდესი). კონგოს ქალაქ ალბერტვილს — ჩრდილოეთ კატანგის პროვინციის მთავარ ქალაქს ემუქრებიან... ნიანგები. ალბერტვილი უკვე მნიშვნელოვნად დაზიანდა წყალდიდობის შედეგად, რაც გამოიწვია წყლის დონის მკვეთრმა აწევამ ტანგანიკის ტბაში. ამჟამად ქალაქის მცხოვრებთ ახალი უბედურების საფრთხე შეექმნათ: წყალდიდობის შედეგად ნიანგები უახლოვდებიან ქალაქს და მის მცხოვრებლებს ესხმიან თავს. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, საშიში მტაცებლებისაგან დაიღუპნენ ბავშვი და კაცი. ალბერტვილის ერთი მცხოვრები ქალი მძიმედაა დაშავებული.

# ტორეზი ულოცავს პასიონარიას

პარიზი, 6 მაისი. (საქდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა დოლორეს იბარურის გაუგზავნა წერილი, რომელშიც ულოცავს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის მინიჭებას.

მილიონობით ფრანგი, ნათქვამია წერილში, იცნობს თქვენს მამაცურ და შესანიშნავ ბრძოლას ესპანელი ხალხის საკეთილდღეოდ და თქვენს წვლილს მშვიდობისა და დემოკრატიის საქმეში.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მორის ტორეზი ძმურ სოლიდარობას უცხადებს დოლორეს იბარურის.

# უშიშროების საბჭოს სხდომა

ნიუ-იორკი, 6 მაისი (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ გუშინდელ სხდომაზე განაახლა ქაშმირის საკითხის განხილვა.

# იემენის ახალი მთავრობის ფიცი

კაირო, 6 მაისი. (საქდესი). იემენის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა აბდალა ას-სალალმა გუშინ ფიცი დაადებინა იემენის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ჰამუდ ალ-ჯაიფის და მინისტრთა ახალ კაბინეტს, იუწყება სანის რადიო.

## ჰამუდ ალ-ჯაიფი

იემენის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჰამუდ ალ-ჯაიფი დაიბადა 1918 წელს ჰამდანის პროვინციაში, იემენში. იგი ეკუთვნის გავლენიან ჰამდანის ტომს. დაწყებითი განათლება მიიღო სანაში. 1932 წელს ალ-ჯაიფი შევიდა სანის სამხედრო სკოლაში.

ჰამუდ ალ-ჯაიფიმ მონაწილეობა მიიღო მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში 1948 წელს, რისთვისაც საპყრობილეში დაამწყვდიეს, სადაც 7 წელი დაჰყო.

მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებისათვის 1960 წლის დამლევს იგი ისევ დააპატიმრეს.

1962 წლის სექტემბრის რევოლუციის შემდეგ იგი დაინიშნა თავდაცვის მინისტრად. აქვს არმიის გენერლის წოდება.

1963 წელს დაინიშნა იემენის არაბთა რესპუბლიკის ელჩად არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში.

# აგრარული პროგრამა

ჰავანა, 5 მაისი. (საქდესი). პრენსა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტი სანტიაგოდან იუწყება, რომ ჩილიში გამოქვეყნდა სახალხო მოქმედების ფრონტის აგრარული პროგრამა.

პროგრამით გათვალისწინებულია მემამულეთა მიწების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო იარაღის, მანქანებისა და წარმოების სხვა საშუალებათა ექსპროპრიაცია და გლეხებისათვის გადაცემა.

# ლაოსის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა მხარდასაჭერად

ამასწინანდელ ცდასთან დაკავშირებით, სამხედრო გადატრიალება მოეხდინათ ლაოსში, კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურმა პრინცმა ნოროდომ სიანუკმა წერილი გაუგზავნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს რ. ო. ბატლერს — ლაოსის შესახებ ჟენევის 1961-1962 წლების თათბირის თანათავმჯდომარეებს. პრინცი ნოროდომ სიანუკი სთხოვს თანათავმჯდომარეებს განიხილონ ის საკითხი, რომ მოწვეულ იქნეს ჟენევის 1962 წლის შეთანხმებათა მონაწილეების თათბირი, რათა გამოინახოს ლაოსის მდგომარეობის სტაბილიზაციის საშუალებანი, აგრეთვე მომზადდეს ახალი საერთაშორისო თათბირი ინდოჩინეთის სხვა ქვეყნების პრობლემათა მოსაწესრიგებლად.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აცნობა დიდი ბრიტანეთის მოსკოვის საელჩოს, რომ საბჭოთა მთავრობა დადებითად ეკიდება პრინც სიანუკის იდეას და წინადადებას აყენებს, რომ თანათავმჯდომარეებმა დაუგზავნონ მისი წერილის ტექსტი ლაოსის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა ყველა მონაწილეს.

# სამხრეთ ვიეტნამში მშვიდობა უნდა იყოს

ვაშინგტონი, 5 მაისი (საქდესი). „მაკნამარას ომს" სამხრეთ ვიეტნამში გადაჭრით გმობს ბევრი მოქალაქე შეერთებული შტატების ყველა რაიონში. ამერიკელთა ოჯახებს, რომლებმაც თავიანთი შვილები დაკარგეს სამხრეთ ვიეტნამის ომში, არ შეუძლიათ არ განაცხადონ პროტესტები. ეს პროტესტები გაძლიერდება, და ისინი კიდევაც უნდა გაძლიერდეს, განაცხადა გუშინ სენატორმა მორზემ ამერიკის სენატში.

მორზემ თქვა, რომ ამჟამად ამუშავებენ ამ ომის გაფართოების საიდუმლო გეგმებს, და ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი პოტენციური საშიშროებაა იმისა, რომ იგი გადაიქცეს საყოველთაო ატომურ კატასტროფად.

მორზემ აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს არავითარი იურიდიული უფლება არა აქვთ ჩაერიონ სამხრეთ ვიეტნამის სამოქალაქო ომში. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, კონსტიტუციის თანახმად, არ შეუძლია დაიწყოს ომი, თუ კონგრესის თანხმობა არ იქნა. მაგრამ მან უკვე ქნა ეს სამხრეთ ვიეტნამში, განაცხადა სენატორმა.

მშვიდობა სამხრეთ ვიეტნამში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დახმარებით და არა ამერიკის შეერთებული შტატების ცალმხრივი მოქმედების შედეგად, თქვა დასასრულ მორზემ.

# გაფიცვები სანტო-დომინგოში

ნიუ-იორკი, 6 მაისი. (საქდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი სანტო-დომინგოდან იუწყება, რომ მესამე დღეა, რაც დომინგოს რესპუბლიკაში მიმდინარეობს გაფიცვები. მთავრობამ დააპატიმრა 800-ზე მეტი კაცი. მმართველი სამოქალაქო ხუნტის თავმჯდომარე დონალდ რიდ კაბრალი გამოვიდა ტელევიზიით და იმუქრებოდა, რომ ძალის დახმარებით ჩაახშობს ყველა გამოსვლას „საკუთრებისა და პიროვნების წინააღმდეგ".

# წყალდიდობა

ალჟირი, 5 მაისი (საქდესი). ორი ათასი კაცი დაზარალდა ძლიერი წყალდიდობის შედეგად, რომელიც მოხდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ალჟირში ჯანეტის რაიონში. წყალდიდობის შედეგად დაინგრა 4000 სახლი.

უბედურების რაიონში, იუწყება ალჟირის პრესის სააგენტო, გაიგზავნა რაზმები და სატვირთო ავტომობილები სურსათითა და მედიკამენტებით.

# ფოტოჟურნალისტთა ნამუშევრების გამოფენა

[illegible]

## საგასტროლოდ მეგობრებთან

პერმი, 6 მაისი. (საკდესის კორ.). მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი დამყარდა დასავლეთ ურალის და საქართველოს სს რესპუბლიკის თეატრალური ხელოვნების მუშაკთა შორის. პერმში საგასტროლოდ ჩამოვიდნენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვ. წიგნაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები მ. ამირანაშვილი, შ. კიკნაძე, ბ. მონავარდისაშვილი. ოპერა „ტრავიატაში" მ. ამირანაშვილმა შეასრულა ვიოლეტას პარტია, ხოლო შ. კიკნაძემ — ალფერდის პარტია. ეს იყო ქართველ მსახიობთა პირველი გამოსვლა.

მზიური საქართველოდან ჩამოსული სტუმრები პერმის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე გამოვლენ აგრეთვე ოპერა „ტრუბადურში", ბალეტ „გედის ტბასა" და „ჟიზელში".

თავის მხრივ საქართველოს მშრომელები გაეცნობიან პერმის მსახიობთა ხელოვნებას.

## მუსიკა საამქროში

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს წითელ კუთხეში ცვლის დამთავრების შემდეგ მილმგლინავებმა მოიყარეს თავი. აქ მათთვის კონცერტი გამართეს მუსიკალური სასწავლებლისა და სკოლის პედაგოგებმა.

მეტალურგებმა დიდი ინტერესით მოისმინეს კონცერტის თვითეული ნომერი. მათ წინაშე წარსდგნენ მუსიკალური სკოლის დირექტორი კ. ჩუხრუკიძე, პედაგოგები ე. ჰანტურიძე და გ. ბერიძე, რომლებმაც შეასრულეს ბეთჰოვენის, შოპენის, მოცარტის, დოლუხანიანის, არაყიშვილის და სხვათა ნაწარმოებები.

ვ. გოხბერტი.

[illegible]



უსაზღვროდ უყვართ ბავშვებს ზოოპარკი, განსაკუთრებით ბევრი ნორჩი სტუმარი ჰყავს მას გაზაფხულსა და ზაფხულში. სწორედ ამას გადმოგვცემს ფოტოკორესპონდენტ ვ. წიკლაურის ეს სურათი.

# ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

## საუკეთესო რეპორტიორები

### შეჯამდა კონკურსის შედეგები

[illegible] (საკდესი), ა. ტრუბნიკოვა („ოქტიაბრი").

### ვოროვსკის სახელობის 1964 წლის პრემია

ვ. ვ. ვოროვსკის სახელობის პრემიის ჟიურიმ (სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მოსკოვის განყოფილება) ვოროვსკის სახელობის ყოველწლიური პრემია 1964 წელს საერთაშორისო ჟურნალისტიკის დარგში მუშაობისათვის მიანიჭა ბორის სტრელნიკოვს — გაზეთ „პრავდის" კორესპონდენტს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ბ. გ. სტრელნიკოვი დიდი სამამულო ომის მონაწილეა. ჟურნალისტიკის დარგში იგი 1948 წლიდან მუშაობს. იგი თანამშრომლობდა „კომსომოლსკაია პრავდაში", შემდეგ კი, 1956 წლიდან მუშაობს „პრავდის" სპეციალურ კორესპონდენტად ამერიკის შეერთებულ შტატებში. ბ. გ. სტრელნიკოვს ეკუთვნის მთელი რიგი ნარკვევები, სტატიები და კორესპონდენციები, რომლებშიც მოცემულია საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნების მოვლენათა ღრმა ანალიზი. (საკდესი).

## მშვიდობის დილას გვილოცავს...



[illegible] ადამიანზე, ჩვენი ბედნიერებისათვის მებრძოლთა თავდადებაზე. უსმენენ და ფიქრობენ — ნეტავი მაჩვენა, ნეტავი გამაცნო იგი. ფიქრობენ, და ბევრი ამ სურვილს კიდევაც ისრულებს, მოდის რადიოში და მორიდებით გვთხოვს გავაცნოთ დიქტორი ქეთო ლანდია.

დიქტორად იცნობენ რადიომსმენელები. ყველამ იცის, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით ქეთევან ლანდიას, როგორც მხატვრული კითხვის ოსტატს, მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება.

ბევრმა რადიომსმენელმა მიულოცა საყვარელ დიქტორს მისი შრომის მაღალი შეფასება, დამსახურებული არტისტის წოდება, მიულოცა გულით, მაგრამ არც იცოდა, რომ ქეთევანი მარტო დიქტორი კი არ არის, არამედ განათლებით ინჟინერ-კონსტრუქტორია.

ნახაზებზე ათენებდა ღამეებს, და როგორც კი ინათებდა, ეთერში ისმოდა დიქტორის ხმა, მშვიდობის დილას უსურ-

[illegible] მები ქართველ მეტალურგებზე თუ ქიმიკოსებზე, მეჩაიეებსა თუ მევენახეებზე, ავტომობილმშენებლებსა თუ მეელმავლეებზე.

დილა მშვიდობისა, — და იფურცლება დღეები, თვეები, წლები...

რეპროდუქტორებიდან გაისმის ტკბილი ხმა, ნაზი და ფოლადნარევი, ზოგჯერ მოალერსე, ხან კი ომახიანი, შემმართებელი. უსმენ, და გრძნობ დიქტორს, ადამიანს, რომელიც განიცდის, იწვის წაკითხულით, და ამ წვას ხმაში აქსოვს, მსმენელს გადასცემს. ამიტომ ყოველთვის გასაგებია ის მოთხრობა თუ ლექსი, საუბარი თუ ინფორმაცია, რომელსაც დინჯად, უბრალოდ კითხულობს ქეთო ლანდია, კითხულობს კი არა, გიამბობთ, როგორც საკუთარი თვალით ნანახსა და განცდილს. სწორედ ამაშია მისი ოსტატობა, რასაც გულუხვად უზიარებს თავის აღზრდილ დიქტორებს, ახალგაზრდებს ყოველ სემინარულ მეცადინეობაზე და შეკრებაზე.

იფურცლება დღეები, თვეები, წლები... ყოველ განთიადზე გესმის ტკბილი, მოალერსე ხმა, მშვიდობის დილას რომ უსურვებს მსმენელებს. და ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ხმის პატრონს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. თმა გაუთეთრდა, მაგრამ გული აქვს ახალგაზრდული, სამშობლოს ტრფიალით აღგზნებული.

მარიამ ბინიაშვილი,
საქართველოს რადიომაუწყებლობის გამომშვები სექტორის რედაქტორი;

ელენე ტაგლიაშვილი,
დიქტორი.

## კატასტროფა არ იქნება

კატასტროფულ წყალდიდობაზე, რომელიც, თითქოს ემუქრება წალეკოს ზერავშანის ხეობის ქალაქები და ოაზისები, დღეს ლაპარაკიც კი ზედმეტია, — განაცხადა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ტ. ნოვიკოვმა. იგი ჟურნალისტების წინაშე გამოვიდა დაბა აინიში, სადაც წარმოებს ინტენსიური ავარიული სამუშაოები 200 მეტრი სიმაღლის უზარმაზარი მთის ზვავის შესაძლებელი შედეგების თავიდან აცილებისათვის. ამ ზვავმა ჩაკეტა მდინარე ზერავშანის შუა დინება.

აქ მოახდინეს აფეთქება, რომელმაც გაჰყო ზერავშანისა და თურქმენეთის ქედების კალთები და გადაჭრა შემოსავლები არხის მშენებლობის პრობლემა. ხელოვნური კალაპოტით ზერავშანის წყალი უახლოეს დღეებში ძველ კალაპოტს დაუბრუნდება. (საკდესი).

# აფსკი ჭრილობაზე

### სიახლე მედიცინაში

...ქირურგმა ოპერაცია გააკეთა გულმკერდის ღრუში. ახლა ნაკერებზე დოლბანდის სახვევი უნდა დაედო. მაგრამ ამჯერად ექიმს ხელში არც ბინტი ჰქონდა და არც ბამბა. მან აიღო პულვერიზატორის მსგავსი პატარა ბალონი და კანის ზედაპირს უფერული სითხე მოასხურა. ერთ-ორ წუთში საოპერაციო ნაკერი გამჭვირვალე, ელასტიკური, წყალგაუმტარი აფსკით დაიფარა. იგი კანს მაგრად ეკვრის და საიმედოდ იცავს მას ინფექციისაგან.

აფსკი საშუალებას აძლევს ექიმს თვალი ადევნოს ნაკერების მოშუშებას. ამისათვის საჭირო არ არის დოლბანდის სახვევის მოხსნა. ხოლო როცა ნაკერების ამოღებაა საჭირო, ექიმი აფსკს ხსნარით დაასველებს, და იგი გაიხსნება.

დამცავი აფსკი სბვ-14 შექმნეს ექსპერიმენტული ქირურგიული აპარატურისა და ინსტრუმენტების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პოლიმერების განყოფილების თანამშრომლებმა.

— სანამ ასეთ აფსკს მივიღებდით, — მოგვითხრობს ამ განყოფილების სათავეში მდგომი ვიტალი პერეპიოლკინი, — საჭირო გახდა გამოგვეცადა სხვადასხვა მაღალმოლეკულური ნაერთები. მაგრამ ბევრი მათგანი, მაგალითად, პოლივინილაცეტატის წარმოებულნი პერქლორვინილის ფისები, სტიროპლასტები ამ მიზნისათვის გამოუსადეგარი აღმოჩნდნენ. ზოგი მათგანი ძალიან ნელა ქმნიდა აფსკს, და იგი საკმაოდ ჰერმეტული და გამჭვირვალე არ იყო. სხვა პლასტიკური მასები კანზე დასხურების შემდეგ მალე სძვრებოდნენ კანს ან იხეოდნენ.

ქირურგის მოთხოვნებს ყველაზე უკეთ შეესაბამებოდა ვინილის პოლიმერების საფუძველზე მიღებული თანაპოლიმერი. ეს მაგარი ნივთიერებანი ადვილად იხსნებიან ეთილაცეტატში; ხსნარი სტერილურია თავისი ქიმიური ბუნებით. კანზე მისი დასხურების შემდეგ გამხსნელი — ეთერი მალე ორთქლდება და იქმნება აფსკი. იგი კანზე მტკიცედ დაკრული რჩება 7-8 დღის განმავლობაში.

კლინიკურმა გამოცდამ, რაც ინსტიტუტის სპეციალისტებმა მოსკოვის № 40 საქალაქო საავადმყოფოში და ქალაქის სხვა სამკურნალო დაწესებულებებში მოახდინეს, ცხადყო სბვ-14 აფსკის ეფექტურობა. იგი გამოიყენეს ორმოც ავადმყოფზე გულმკერდისა და მუცლის ღრუს ოპერაციების დროს დოლბანდის სახვევის ნაცვლად საოპერაციო ნაკერების დასაცავად.

— დოლბანდის სახვევთან შედარებით აფსკს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს, — ამბობს გერმანე ლიპოვეცკი, რომელიც გამოცდებს აწარმოებდა. — იგი უფრო ჰერმეტულია და მტკიცედ რჩება სახსრებზე, სადაც სახვევი ხშირად ვარდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ აფსკი შესაძლებლობას აძლევს ექიმს ვიზუალურად აკვირდებოდეს ნაკერების მოშუშების პროცესს.

## ტ. რუხაძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ტრიფონ ონისიმეს-ძე რუხაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.)".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ტ. რუხაძისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

# ბედნიერი წუთი დამარცხების წინ

სამი გასვლითი თამაშიდან ორი ქულით დაბრუნება, თბილისის დინამოელთა სასარგებლოდ ბევრს არაფერს მეტყველებდა. მაგრამ ფეხბურთის მარათონის სიურპრიზებმა მერვე ტურში იჩინა თავი. ლიდერთა ჯგუფის არც სხვა წარმომადგენლებს გაუღიმათ ბედმა და სატურნირო ცხრილშიც ბევრი არაფერი შეცვლილა.

ამრიგად, წონასწორობა შენარჩუნებულ იქნა. თბილისის „დინამო" კვლავ ლიდერად დარჩა. მაგრამ კიშინიოვში დაკარგულმა ორმა ქულამ და ბარქაიას დისკვალიფიკაციამ გულშემატკივართა სამართლიანი სინანული გამოიწვია.

სწორედ ასეთ ვითარებაში მოუხდათ დინამოელებს მეცხრე ტურის მატჩის გამართვა განაწყენებულ „კაირატთან".

„დინამოს" ხელმძღვანელობის, პირველ რიგში კი ახალი მწვრთნელის გ. კაჩალინის წინაშე ადვილი ამოცანა როდი იდგა. ეს ეხებოდა ძირითად შემადგენლობაში ახალ მოთამაშეთა შეყვანას, ერთგვარ გადაჯგუფებას. ცვლილებები არც თუ მცირე აღმოჩნდა. მაგრამ ახალი როლების შემსრულებლებმა ვერაფრით გაგვახარეს.

დინამოელთა თამაში ულიმღამო აღმოჩნდა. თავი რომ დავანებოთ შემოქმედებითს, ეფექტიან კომბინაციებს და აქედან გამომდინარე სრულყოფილ იერიშებს, გუნდში ვერ იგრძნობდით ერთსულოვნებას. ურთიერთკავშირს, მთლიანობას. გრჩებოდათ ისეთი შთაბეჭდილება, რომ თვითეულ მათგანს აღარ ესმოდა, თუ რას აკეთებდნენ მოედანზე.

„დინამო" (თბილისი) — „კაირატი" (ალმა-ატა) 2:2 (0:1). თბილისი, 6 მაისი. „დინამოს" სტადიონი. მსაჯი ი. გოჩაროვი (მოსკოვი).

„კაირატი" — ბალიკოვი, სტულოვი, კისელევი, კამინსკი, ოსტროუშკო, ფედოტოვი, სეგიზბაევი, კვოჩკინი, სკულკინი (აბგოლცი), ჩენცოვი, მალცევი; „დინამო" — ლეჟავა, ზ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, დათუნაშვილი, მეტრეველი, გ. სიჭინავა, მაისურაძე, იამანიძე, მესხი.

ბუნებრივია, ლიდერის ასეთ განწყობილებას კარგად აუღეს ალღო სტუმრებმა. ისინი მოქმედებდნენ მთელი დატვირთვით. მაღალი ტემპით, ახირებდნენ მოედნის შუაგულის კონტროლს. უტევდნენ თლანგებიდან. ცენტრიდან. „დინამოს" მცველთა რიგებში ბზარი გაჩნდა. თავი იჩინა პანიკამ. დაირღვა წონასწორობა. და თუ შედარებით ადრე სტუმრებმა ვერ მოახერხეს კარის აღება, ეს მხოლოდ არაზუსტ დარტყმებს უნდა მიეწეროს.

34-ე წუთმა სტუმრებს წარმატება მოუტანა. საჯარიმო დარტყმისას შესრულებული მარტივი კომბინაციის. აგრეთვე „დინამოს" მცველთა და მეკარის ყურადღების მოდუნებამ მალცევს ანგარიშის გახსნის საშუალება მისცა. ამის შემდეგ რა ხდებოდა თბილისელთა კარის წინ, ძნელი ასაწერია. დაბნეულობამ მოლოდინს გადააჭარბა.

მხოლოდ ტაიმის ბოლო წუთებში ამოძრავდნენ დინამოელი ფორვარდები. 42-ე წუთს მათთვის შეეძლო სასურველი შედეგი მოეტანა. ხუთჯერ დაარტყეს კარში, და ყველა აცდა მიზანს.

არც მეორე ნახევარში იგრძნობოდა სიახლე თბილისელთა ბრძოლაში. სტუმრებს კი ყურადღება გამახვილებული ჰქონდათ საკუთარი კარის მისადგომებზე. ზოგჯერ კარის წინ 15-20 ფეხბურთელი იყრიდა თავს. 48-ე წუთზე ალმაატელები დაჯარიმდნენ. ზეინკლიშვილის მიწოდების შემდეგ მესხის დარტყმულ ბურთს ზედ კართან მიუსწრო გ. სიჭინავამ და წონასწორობა აღადგინა — 1:1.

ბრძოლაში გარდატეხა მოხდა. ახლა უკვე ინიციატივას მასპინძლები ფლობდნენ, თუმცა ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. სრული ქაოსი, სიცარიელე სუფევდა ცენტრში, რთულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა მაისურაძემ. მართალია, „კაირატის" ფორვარდები მეტწილად მცველებს ეხმარებოდნენ, მაგრამ ისინი მეტოქის მცირე შეცდომასაც კი ჩინებულად იყენებდნენ. „დინამოს" მცველთა ერთ-ერთ ასეთ შეცდომას 73-ე წუთზე მეორე გოლი მოჰყვა. მისი ავტორი კვლავ მალცევი იყო.

ეს გოლი თბილისელთათვის მომაკვდინებელი აღმოჩნდა. მათ დაკარგეს რწმენა საკუთარი ძალებისადმი, მხოლოდ დათუნაშვილი თუ ახერხებდა ზოგჯერ გასვლებს, სახიფათო მომენტების შექმნას. მიმდინარეობდა ბრძოლის უკანასკნელი—90-ე წუთი. მაშინ, როდესაც თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, დათუნაშვილის მიწოდებით მესხმა ეფექტური ბურთი გაიტანა — 2:2.

დინამოელები გადაურჩნენ აშკარა დამარცხებას. ეს მხოლოდ ბედნიერი წუთის ნაყოფი იყო.

ვ. გაგელია.

## მატჩები და შედეგები

გუშინ შედგა საკავშირო ჩემპიონატის მეცხრე ტურის რამდენიმე შეხვედრა ფეხბურთში „ა" კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.

დონეცკის „შახტიორი" საკუთარ მოედანზე თამაშობდა კიშინიოვის „მოლდოვას" წინააღმდეგ. აქ მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

გორკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ვოლგისა" და იაროსლავლის „შინიკის" ფეხბურთელთა კოლექტივები. გორკელებმა პირველი წარმატება მოიპოვეს, მოიგეს შეხვედრა 3:2.

# მატჩები • ტურნირები • ჩემპიონატები

## საპატიო ფრე

„ტორპედო" (ქუთაისი) - „დინამო" (კიევი) 0 : 0. ქუთაისი. 6 მაისი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

„დინამო" — ბანიკოვი, შჩეგოლკოვი, სოსნიხინი, ოსტროვსკი, საბო, კრულიკოვსკი, ბიბა, სერებრიანიკოვი, კანევსკი (ტროიანოვსკი), ტურიანჩიკი, ბაზილევიჩი; „ტორპედო" — ურუშაძე, ლოსაბერიძე, თორაძე, სიამაშვილი, კუტივაძე (ისიანი), ნიშნიანიძე, სირაძე, ჩხარტიშვილი, მელაშვილი, მუმლაძე, ხაუალია.

ზედიზედ წარუმატებლობის შემდეგ უკანასკნელ მატჩებში ტორპედოელებმა ამოისუნთქეს, შვება იგრძნეს და თანდათან იუმჯობესებენ მდგომარეობას. მეცხრე ტურში ისინი ძალებს ცდიდნენ დიდი ტრადიციის კოლექტივთან — კიევის „დინამოსთან".

უნდა ითქვას, რომ ტორპედოელები არაფერში ჩამორჩებოდნენ მეტოქეს. პირიქით, ზოგჯერ სჯობნიდნენ კიდევაც მას. მასპინძელთა თამაში უფრო სრულყოფილი და ტემპიანი იყო და საგოლო მომენტებიც მათ მეტი ჰქონდათ. მე-20 წუთზე კიეველთა კარი ძელმა იხსნა მელაშვილის დარტყმისაგან, შემდეგ კი დინამოელები მეტოქის ფორვარდების არაერთ რეიდს გადაურჩნენ.

სტუმრებსაც ჰქონდათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. 25-ე წუთზე „ტორპედოს" კართან დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. აქაც ძელმა იხსნა კარი.

მეორე ნახევარში ბრძოლის სიმწვავემ იკლო, იერიშებიც ნაკლებად ეფექტური იყო. მეტოქენი ზედმეტად ფრთხილობდნენ და ბოლოს აქტივში თითო ქულის ჩაწერას დასჯერდნენ. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

შ. ჯავახაძე.
(საკ. კორ.).

### გათამაშების ცხრილი

„ა" კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 7 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბ.) | 9 | 5 | 2 | 2 | 13—7 | 12 |
| „დინამო" (კ.) | 9 | 3 | 5 | 1 | 9—7 | 11 |
| „სპარტაკი" (მ.) | 8 | 4 | 2 | 2 | 10—3 | 10 |
| „შახტიორი" (დ.) | 8 | 3 | 4 | 1 | 7—3 | 10 |
| „ტორპედო" (მ.) | 8 | 4 | 2 | 2 | 11—8 | 10 |
| „დინამო" (მნ.) | 7 | 3 | 3 | 1 | 6—2 | 9 |
| „დინამო" (მ.) | 7 | 3 | 2 | 2 | 11—7 | 8 |
| სკა (როსტ.) | 8 | 4 | 0 | 4 | 7—8 | 8 |
| ცსკა | 8 | 2 | 4 | 2 | 5—7 | 8 |
| „მოლდოვა" (კიშ.) | 8 | 3 | 2 | 3 | 4—7 | 8 |
| „ნეფტიანიკი" (ბ.) | 8 | 2 | 3 | 3 | 7—11 | 7 |
| „ზენიტი" (ლ.) | 8 | 2 | 2 | 4 | 9—10 | 6 |
| „კრ. სოვ." (კუიბ.) | 7 | 1 | 4 | 2 | 2—4 | 6 |
| „კაირატი" (ალ.) | 8 | 1 | 4 | 3 | 7—10 | 6 |
| „ტორპედო" (ქ.) | 9 | 2 | 2 | 5 | 5—8 | 6 |
| „ვოლგა" (გ.) | 8 | 1 | 4 | 3 | 5—11 | 6 |
| „შინიკი" (იაროს.) | 8 | 1 | 3 | 4 | 6—11 | 5 |

„კომუნისტი" სპორტი

## ჭადრაკის „ვარსკვლავები" სოხუმში

ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირს, რომელიც დღეს გაიხსნება სოხუმში, ერთი თავისებურება ახასიათებს — აქ თავს მოიყრის მსოფლიო ჩემპიონობის თითქმის ყველა პრეტენდენტი.

მაინც ვინ ითამაშებს ამ ტურნირში?

თუმცა ნონა გაფრინდაშვილს ამ დღეებში სულ 23 წელი შეუსრულდა, მაგრამ სწორედ იგი უნდა ჩაითვალოს ასპარეზობის „ვეტერანად". ნონა მონაწილეობდა საქართველოს სამივე საერთაშორისო ტურნირში. თუ 1960 წელს იგი მეორე ადგილს დასჯერდა, 1961 და 1962 წლებში პირველი ჯილდო მოიპოვა. ახლა ნონა უნდა მივიჩნიოთ არა მარტო ასპარეზობის „ვეტერანად", არამედ მის მთავარ ფავორიტადაც.

სოხუმში ითამაშებს შვიდი უცხოელი მოჭადრაკე — ვ. ნედელკოვიჩი, ა. პიბერლი (ორივე იუგოსლავიიდან), ვ. კელერ-გერმანი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), მ. ტეოდორესკუ (რუმინეთი), ე. კარაკაში (უნგრეთი), ვ. ასენოვა (ბულგარეთი) და კ. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია).

ასპარეზობაში ჩაებმება აგრეთვე ორი ცნობილი საბჭოთა მოჭადრაკე: მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ელისაბედ ბიკოვა (მოსკოვი) და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ოსტატი მაია რანიკუ (ტალინი).

ნონა გაფრინდაშვილის გარდა, ჩვენი რესპუბლიკიდან ტურნირში კიდევ სამი მოჭადრაკე ითამაშებს — საერთაშორისო ოსტატი ალა ჩაიკოვსკაია, პირველთანრიგოსნები ნანა ალექსანდრია და გულნარა ბუცხრიკიძე.

შეჯიბრების მთავარი მსაჯია ლ. წეროძე.

გ. გამრეკელი.

## ვინ ვის შეხვდება?

მადრიდი, 5 მაისი (საკდესი). თუ საბჭოთა ფეხბურთელები დაამარცხებენ შვეციის გუნდს, მაშინ ფეხბურთში ევროპის თასის გათამაშების ნახევარფინალში ისინი 17 ივნისს ბარსელონაში შეხვდებიან დანიის ნაკრებს. ნახევარფინალისტთა მეორე წყვილი ამ დღეს ითამაშებს მადრიდში. ამ მატჩის მონაწილეები იქნებიან ესპანეთის გუნდი და უნგრეთ-საფრანგეთის შეხვედრაში გამარჯვებული.

ფინალი 21 ივნისს გაიმართება მადრიდში, ხოლო შეხვედრა მესამე-მეოთხე ადგილისათვის — 20 ივნისს ბარსელონაში.

ფინალური ტურნირის მოწყობის ეს წესი დღეს განისაზღვრა წილისყრით მადრიდში.

## სსრ კავშირის თასზე

გუშინ ბათუმში გაიმართა მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე. თამაშობდნენ ბათუმის „დინამოსა" და ლენინაკანის „შირაქის" გუნდები. გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 2 : 0.

ამრიგად, ბათუმის დინამოელებმა თასის გათამაშების მორიგ ეტაპში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

## ჩემპიონმა წაიბორძიკა

მოსკოვში დაიწყო წყალბურთში სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას იღებს ჩვენი ქვეყნის 12 უძლიერესი კოლექტივი.

გუშინდელი მატჩების სიურპრიზს წარმოადგენდა სსრ კავშირის ჩემპიონის მოსკოვის „დინამოს" დამარცხება. დინამოელებმა წააგეს ორთაბრძოლა დედაქალაქის უნივერსიტეტის წყალბურთელებთან 1:2. თბილისის „დინამომ" ფრედ (1:1) დაამთავრა მატჩი ლენინგრადის „ბალტიკასთან".

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: კკფ - „შრომითი რეზერვები" (მოსკოვი) 4 : 3, „დინამო" (კიევი) - „სპარტაკი" (ლენინგრადი) 3 : 2, „დინამო" (ლვოვი) - „ვიმპელი" (კალინინგრადი) 2 : 2, „ტორპედო" (მოსკოვი) - ცსკა 1 : 1.

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### თეატრი

7 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აიდა (მე-5 აბონ. მე-8 წარმოდგენა), რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი — ადამიანი იბადება ერთხელ (მე-12 აბონ. მე-5 წარმოდგენა), რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, მარჯანიშვილის სახელობის — მედეა (მე-13 აბონ. მე-6 წარმოდგენა), გრიბოედოვის სახელობის — ადამიანი ვარსკვლავებიდან (მე-12 აბონ. მე-9 წარმოდგენა), ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის (რკინიგზელთა სახლში) — მე და ჩემი მენიზბლები, ხანკულტურის — სახელგატეხილნი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — მეთორმეტე ღამე (პრემიერა, აბონ. № 2, 6 ს.), თოჯინების ქართული — ყველაფერი თავდაყირა (11 ს. და 2 ს.), ფილარმონიის საზაფხულო — მოსკოვის მინიატიურების თეატრი — კალეიდესკოპი.

### ტელევიზია

8 მაისი

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — მოსწავლეთათვის — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ალექსი იუდინის შემოქმედებითი საღამოს ტრანსლაცია მოზარდ მაყურებელთა რუსული სახელმწიფო თეატრიდან, 20.05 — სატელევიზიო ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება", 21.20 — მხატვრული ფილმი „წყნარი დონი" (მესამე სერია), 23.20 — ახალი ამბები.

### კინო

7 მაისი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), ისანი (საზამთრო), საქართველო (წითელი დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), ყაზბეგი (პირველი დარბაზი), გაზაფხული — ჩეკას თანამშრომელი, ოქტომბერი — გრაფი მონტე კრისტო (I-II სერია), თბილისი, ისანი (საზაფხულო), — სინდბადის მეშვიდე მოგზაურობა, სპარტაკი — შეხვედრა ბედნიერებასთან, კომკავშირელი — ყველაფერი ევას შესახებ, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), კოსმოსი — მეხუთე კონტინენტის გზები, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — ოთხი გზა (I-II სერია), ოფიცერთა სახლი, თანამგზავრი, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — ორნი ველზე, საქართველო (მწვანე დარბაზი) — ფანფან ტულპანი, კოლხიდა (საზამთრო), — პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — პალიასტომი, კოლხიდა (საზაფხულო) — 12 გაბრაზებული მამაკაცი, ჰავჰავაძის სახელობის კულტურის სახლი—ბუდაპეშტის სახურავები, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — უბანი „ოცნება", ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — სიყვარული და მოდა, ნაკადული — სიყვარული სიმღერში (I-II სერია), კოლმეურნე — ჯუნგლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — თავისი ცოლის ქმარი.

### რადიო

8 მაისი

06.35 — ვ. გოკიელი. საორკესტრო სიუიტა, 08.30 — ქართველ ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 11.15 — ნაწყვეტები რიმსკი-კორსაკოვის ოპერებიდან, 12.15 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 12.25 — მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი, 13.40 — უკრაინული სახელმწიფო კაპელა „დუმკას" კონცერტი, 17.15 — მუსიკალური ლექსიკონი, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.10 — ნ. ნარიმანიძე. ქართული საცეკვაო სიუიტა, 18.45 — პოპულარული არიები რუსული ოპერებიდან, 19.30 — გადაცემა — „ადამიანი არ ნებდება", 20.15 — ქართული ხალხური სატრფიალო სიმღერები, 20.30 — „მეცნიერებისა და ტექნიკის სამყაროში", 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — კონცერტი — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 22.00 — რადიოკომპოზიცია „გაცოცხლებული ფურცლები", 23.30 — „უკრავს ჯ. ოგდონი".

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

„კომუნისტი" КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, მრეწველობის — 3-20-43, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, პროპაგანდის, უცხოეთის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

უე 01190

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.